პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

1977 შაბათი 22 თებერვალი № 44 (16781) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

## ჩვენი შრომისა და ბრძოლის უტყუარი კომპასი

ხუთი წლის წინათ, 1972 წლის 22 თებერვალს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

ეს საეტაპო დადგენილება ჭეშმარიტად კომპასი გახდა დიდი შემობრუნების, ზრდისა და წინსვლის გზაზე ჩვენი რესპუბლიკისათვის, მისი პარტიული ორგანიზაციისათვის, კომუნისტებისათვის, ჩვენი მშრომელებისათვის.

# ისტორიული დოკუმენტის შუქით

ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ჩვენთვის, მთელი საქართველოს კომუნისტებისა და მშრომელებისათვის მეტად დროული და ყოვლისმომცველი ისტორიული დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

ჩვენი პარტიის ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა ეს საეტაპო დადგენილება მიიღო საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ღრმა ანალიზის საფუძველზე.

როგორც საავდრო ღრუბლებით დაბინდულ ცაზე დიდი კაშკაშა შუქი, ისე მოევლინა მაშინ ჩვენს რესპუბლიკას ეს მართლაც სხივნათელი დოკუმენტი. საჭირო იყო მხოლოდ ამ დიდი შუქით განათებულ გზაზე სწორი სიარული.

და ეს ჩვენ შევძელით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც როგორც თავის IX, ისე შემდგომ პლენუმებზე მკაცრად გააკრიტიკა რესპუბლიკის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის, ზოგიერთი კომუნისტის პასიური პოზიცია და უპრინციპობა ამ დიდმნიშვნელოვანი დადგენილების შეფასების დროს, აქტიურად მოიმარჯვა იგი და ჩვენი შემდგომი მოქმედების, ყოფისა და შრომის ჭეშმარიტ სახელმძღვანელოდ, უტყუარ კომპასად აქცია.

როგორც ყველასათვის ცნობილია, ამ დადგენილებამდე მკვეთრად ქვეითდებოდა რესპუბლიკის ეკონომიური პოტენციალი, რაც წლების განმავლობაში მწვავედ იგრძნობოდა. კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების რიტმის მოდუნება, ზოგიერთი ნეგატიური მოვლენის გამოცოცხლება, მეცხრე ხუთწლედის დირექტივების შესრულებას ჩაშლის საფრთხე შეექმნა.

შეუძლებელია მთელი ის ტიტანური მუშაობა აღწერო, რომელიც უკანასკნელ წლებში საქართველოს კომპარტიამ, მისმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა გასწიეს. ასევე შეუძლებელია ყველა იმ კეთილი შედეგის აღნიშვნა, რაც ამ ბრძოლითა და მუშაობით მოვიპოვეთ. ეს შეუძლებელი შეძლო ისევ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც გასული წლის 22 ივნისის დადგენილებაში ჩვენი მუშაობის შედეგები შეაჯამა და აღნუსხა. დიახ, ამ ახალ დადგენილებაში, რომლის მიღების შემდეგ საქართველოს კომპარტიის ბრძოლისა და მოქმედების ახალი ეტაპი იწყება, სხარტად, შთამბეჭდავად არის ასახული როგორც მოპოვებული თვალსაჩინო მიღწევები, ისე მომავლის საბრძოლო ამოცანები.

საქართველომ წარმატებით დაძლია მეცხრე ხუთწლედის წინა ორი წლის სერიოზული ჩამორჩენა როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში და არა მარტო წარმატებით დაავგირგვინა მთლიანად მეცხრე ხუთწლედი, არამედ საბჭოთა ქვეყნის მოწინავე პოზიციებზეც გავიდა.

უკანასკნელ პერიოდში ყოველწლიურად სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკა იმარჯვებს და გარდამავალ დროშას ისაკუთრებს.

ამ დღეებში კვლავ გულგასახარი ცნობა მოვიდა: 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის საქართველომ კვლავ დაიმსახურა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული რესპუბლიკის სახელი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება-გაუმჯობესებამ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლის ყველაზე დიდმა შედეგმა, თავისი სიკეთის კვალი დაატყო რესპუბლიკის ცხოვრების ყველა მხარეს, გაააქტიურა მთელი ჩვენი ძალები, სილაღე შემატა, ფართო გზა მისცა ადამიანთა ინიციატივას და შემოქმედებას.

ჩვენ კანონიერად ვამაყობთ იმით, რომ სწორედ ბოლო წლებში ჩვენი რესპუბლიკა ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით დაჯილდოვდა. ამ პერიოდში გაიზარდა და დაწინაურდა ბევრი ჩვენი მუშა და კოლმეურნე, მრეწველობისა თუ სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, გამოვლინდა ბევრი ნოვატორი, გაჩნდა ასობით, ათასობით პროგრესული წინადადების ავტორი.

მთელი რესპუბლიკა მოიარა რუსთაველ მეტალურგთა პატრიოტულმა თაოსნობამ — „არცერთი ჩამორჩენილი, უდისციპლინო — ჩვენ გვერდით!“. შრომითმა კოლექტივებმა მხარი დაუჭირეს, აიტაცეს, დანერგეს თბილისელი გიორგი კურტანიძის ბრიგადის, ბათუმელი მანქანათმშენებლების, გურჯაანელი მეცხოველეების და მევენახეების, აბაშელი მესიმინდეების და სხვათა შესანიშნავი წამოწყებანი. სულ ახლახან დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის მზადების დღეებში შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს პარტიის ქუთაისის საქალაქო და თბილისის პირველი მაისის რაიონულმა კომიტეტებმა — „არცერთი ჩამორჩენილი კოლექტივი, ყოველი თვის გეგმა შევასრულოთ გადაჭარბებით!“.

დიახ, სულ უფრო მცირდება ჩამორჩენილ საწარმოთა და მეურნეობათა რიცხვი, დღითიდღე უმჯობესდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, ფართოდ იკიდებს ფეხს წარმოების კულტურა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ინერგება შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ლონივრად შლის მხრებს კაპიტალური მშენებლობა, უმჯობესდება ვაჭრობა და მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება, მაღლდება მათი კეთილდღეობის დონე.

ამ უმნიშვნელოვანესი დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლამ უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს პარტიული ორგანიზაცია გამოაწრთო, ხოლო ხალხი, მშრომელი ხალხი ახალ სოციალურ-ეთიკურ და მორალურ-პოლიტიკურ დონეზე აიყვანა.

ყოველივე ამის მიღწევა კი ასე მოკლე დროში და ასე წარმატებით იმიტომ გახდა შესაძლებელი, რომ ამ ჩვენთვის მძიმე წლებში ერთი წუთითაც არ მოკლებია საქართველოს, მის მშრომელებს, მის კომპარტიას სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დიდი მზრუნველობა, გულითადობა და ყურადღება. ჩვენი რესპუბლიკის თაობაზე სამი დიდმნიშვნელოვანი დადგენილება ესოდენ მოკლე დროში, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებას ეხება, ამის საუკეთესო დასტურია.

თავის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში ხდება, პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების არსებითად გაუმჯობესების, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული შეკავშირების, მასებთან მისი კავშირის განმტკიცების შედეგია, რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე ბრძოლა გაშალა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპების მკაცრად დაცვისათვის. პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო მუშაობის ბევრი უბანი განამტკიცეს პოლიტიკურად მომწიფებული, მორალურად სპეტაკი და პარტიის საქმისადმი ერთგული კადრებით. კადრების საკითხთა გადაწყვეტისას მკვიდრდება კოლეგიალობის პრინციპი, ამასთან პარტიული ორგანოები უფრო სრულად ითვალისწინებენ კომუნისტების, მშრომელთა კოლექტივების აზრს. ეს ქმნის შესაძლებლობას, რომ თავიდან აიცილონ შეცდომები, რომლებიც ახლო წარსულში იყო დაშვებული მუშაკთა შეფასების, პირადი ერთგულების, ნათესაური და მეგობრული ურთიერთობის ნიშნით მათი დაწინაურების დროს. მეტ ზრუნვას იჩენენ რესპუბლიკაში ხელმძღვანელი კადრების იდეურ-პოლიტიკური და საქმიანი დონის ამაღლებისათვის, მათ მეტ პასუხს სთხოვენ მინდობილ უბანზე მუშაობის შედეგებისა და ადამიანთა აღზრდისათვის.

მაგრამ ამასთანავე სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ მხოლოდ დასაბამი მიეცა იმ დიდ მუშაობას, რომელიც მომავალშიც უნდა წარმოებდეს კომუნისტებისა და ყველა მშრომელის იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის. იდეოლოგიურ მუშაობაში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის გაზრდილი აქტივობა კარგ შესაძლებლობებს უქმნის იმ ამოცანების უფრო წარმატებით შესრულებას, რომლებიც ამ დარგში დასახა სკკპ XXV ყრილობამ.

ყოველ ჩვენგანს, მით უმეტეს კომუნისტს, მუდამ თან უნდა სდევდეს მეტის გაკეთების წყურვილი, ჰქონდეს მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა. მუდამ უნდა გვახსოვდეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, პარტიის XXV ყრილობის ტრიბუნიდან რომ წარმოთქვა: „ჩვენ სწორად მოვიქცევით, ლენინურად მოვიქცევით, თუ ღირსეულად შევაფასებთ მიღწეულს და ყურადღებას მივაპყრობთ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს, გადაუჭრელ ამოცანებს“.

აი რატომ არის, რომ საქართველოს კომპარტია დაუღალავად და დღენიადაგ ეძებს წინსვლის ახალ-ახალ რეზერვებსა და საშუალებებს, აი რატომ არის, რომ ამას წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმზე მეტად მწვავედ, პრინციპულად იქნა განხილული ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო პრობლემები, რომლებიც ყველაზე მეტად ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს შეეხებოდა. ჯერ კიდევ აღსაკვეთია ბევრი ნეგატიური მოვლენა. მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრება, ყველგან და ყველაფერში პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცება, პასუხისმგებლობის გრძნობის ჩანერგვა, მომთხოვნელობის, კონტროლისა და თვითკონტროლის გაძლიერება — აი თავიდათავი საკითხებისა, რომლებსაც ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და ამ ყურადღებას მოითხოვს თვითეული პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტებისაგან.

საყოველთაო-სახალხო შეჯიბრება კი უფრო მძლავრად და ლაღად შლის ფრთებს. ახალი შრომითი წარმატებებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის იუბილე — ეს საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის ღირსების საქმეა. და ამ შრომასა და შემართებაშიც მათ კვლავაც გაუნათებს გზას დიდშუქმფენი პარტიული დოკუმენტები — სკკპ ცენტრალური კომიტეტის საეტაპო დადგენილებანი თბილისისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

საქართველოს კომუნისტური პარტია არასოდეს არ ყოფილა ისე ერთიანი, მონოლითური და შეკავშირებული, როგორც ახლა. ეს შეკავშირება და მონოლითურობა, ნათელი აზრები და მიზნები, ისტორიული გზა, რომლითაც დღეს საქართველოს კომუნისტური პარტია მიდის, სიმართლის, პატიოსნების, შრომის, საერთო საქმის ერთგულების გზა იმის საწინდარია, რომ სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ყოველი ჩანაფიქრი, ყოველი მისი დადგენილება, რეკომენდაცია თუ რჩევა საქართველოს რესპუბლიკის პირობებში უეჭველად განხორციელდება.

ღირსეული შეხვედრა — დიად იუბილეს

# დიდი ჯილდო გვავალებს: ვიშრომოთ ნაყოფიერად!

## საქმით ვუპასუხებთ

სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის მუშა-მოსამსახურეებმა დიდი სიხარული განვიცადეთ, როცა შევიტყვეთ, რომ 1976 წლის სამეურნეო შედეგებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა დავიმსახურეთ.

ტრესტის კოლექტივს 1975 წელს 18.404 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შეესრულებინა, ფაქტიურად, 19.352 ათასი მანეთის სამუშაოები შესრულდა, რაც გეგმის 105,2 პროცენტს შეადგენს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ტრესტის კოლექტივმა საიჯარო სამუშაოების წლიური გეგმის შესრულება სამშობლოს 12 დეკემბერს უპატაკა.

შრომის ნაყოფიერების გეგმიური დავალება შესრულდა 101,1 პროცენტით. დამკვეთებს საექსპლოატაციოდ 156 ობიექტი გადაეცა. ამ ობიექტების 88 პროცენტი „კარგზე“ და „ფრიადზე“ შეფასდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრესტის ჩვიდმეტივე სამშენებლო ორგანიზაციამ წარმატებით გაართვა თავი მათ წინაშე მდგომ ამოცანებს. უკეთესი მაჩვენებლები აქვთ გორის № 10, № 35 და ახალქალაქის № 18 მოძრავ-მექანიზებულ კოლონებს (უფროსები გ. გოჩელეიშვილი, ვ. შაკიაშვილი, ქ. იორდანოვი). განსაკუთრებით კი უნდა აღინიშნოს ჩვენი მუდმივმოქმედი სამშენებლო მატარებლის წარმატებები (უფროსი გ. აბულაძე). ამრიგად, ტრესტის წარმატებები განაპირობა მთელი კოლექტივის დამკვრელურმა შეგნებულმა შრომამ.

დიდი ჯილდოს პასუხად და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ტრესტის კოლექტივმა იკისრა ახალი სოციალისტური ვალდებულებები.

ა. აბულაძე,
საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 3 ტრესტის მმართველი,

ა. შერმადინი,
ტრესტის პარტბიუროს მდივანი.

## ორგანიზებული, კოლექტიური შრომის ნაყოფი

შარშან გარდაბნელებმა რომ კარგად იმუშავეს, თბილისისა და რუსთავის მშრომელებს დიდძალი ბოსტნეული რომ მიაწოდეს, ქვეყნად მეურნეობაც ასახელეს, ოჯახებიც დოვლათით აივსეს, სწორედ ამის გამო დაგვაჯილდოეს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშით.

მკითხველისათვის სასიამოვნო იქნება ჩვენი მეურნეობის შრომის ამსახველი ციფრები, ის, თუ რას მივაღწიეთ შარშან და რის გაკეთებას ვფიქრობთ წლეულს. ჩვენი მეურნეობა ძირითადად მებოსტნეობისაა. წლითიწლობით ბოსტნეულის წარმოებას აგროწესების გაუმჯობესებით ვადიდებთ და თბილისისა და რუსთავის მშრომელებს სულ უფრო მეტი რაოდენობით ვაწვდით მაღალხარისხოვან პროდუქტებს.

შარშან საშუალოდ ჰექტარზე 200 ცენტნერი ბოსტნეული უნდა მიგვეღო. სანიმუშო შრომით ჰექტარზე 237 ცენტნერი მოსავალი მივიღეთ და სახელმწიფოს ნაცვლად 7.200 ტონისა 8.314 ტონა ბოსტნეული მივყიდეთ. მოგება 300.000 მანეთი უნდა ყოფილიყო, მივიღეთ 720.000 მანეთი. აი რა შეუძლია კოლექტიურ, ორგანიზებულ შრომას, მეცნიერებისა და მოწინავეთა მიღწევების წარმოებაში დანერგვას.

საკავშირო ჯილდო ბევრს გვავალებს. წლეულს 360 ჰექტარზე დავთესავთ ბოსტნეულს და გარჯით, ნათესების დროულად დამუშავებით უხვ მოსავალს მივიღებთ, სახელმწიფოს ნაცვლად 9.000 ტონისა 9.500 ტონა ბოსტნეულს მივყიდით.

მ. გასანოვი,
გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.



თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ გამომჭრელის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის გივი რიმნისთაველის სახელი საყოველთაოდ არის ცნობილი. ნოვატორი მუშის თაოსნობით ამ დარგის საწარმოებში გაჩაღდა ლაშქრობა მომჭირნეობისა და პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

გ. რიმნისთაველის თაოსნობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ქართული მარკით დამზადებული ფეხსაცმლის ხარისხი ჯერ კიდევ ვერ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს, ამიტომ ახალი შეჯიბრება ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი დიდი რეზერვი იქნება.

სურათზე: გ. რიმნისთაველი.

## ბრინჯაოს ბიუსტი — გმირის სამშობლოში

ლენინგრადი. 21 თებერვალი. (საქდესის კორ.). აქ ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის სამშობლოში დღეს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა გმირის ბრინჯაოს ბიუსტი. იგი აიგო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად.

ამ მოვლენისადმი მიძღვნილ მიტინგს დაესწრნენ სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის ბიუროს წევრები, საქალაქო კომიტეტის მდივნები. სიტყვები წარმოთქვეს ლენინგრადის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ლ. ნ. ზაიკოვმა, კიროვის სახელობის გაერთიანება „ელექტროსილას“ მეკარუსელე ხარატმა ი. კ. სიდოროვმა, ლენინგრადის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის ინსტიტუტის რექტორმა ლ. ი. ტერეშჩენკომ, ფაბრიკა „ოქტიაბრსკაიას“ ოსტატის თანაშემწემ ნ. ს. კოჟურკინმა, № 90 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ ა. ფიოდოროვამ.



დიდი აღფრთოვანებით შეხვდა „ელექტროხელსაწყოს“ საწარმოო-ტექნიკური გაერთიანების კოლექტივი სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ“.

ხელსაწყოთმშენებლებმა გადაწყვიტეს ხუთწლედის მეორე წლის დავალებანი შეასრულონ ვადამდე — 25 დეკემბრისათვის და გაასაღონ 30 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

სურათებზე: მარცხნივ — საწარმოო-ტექნიკური გაერთიანება „ელექტროხელსაწყოს“ სათავო საწარმოს „თბილხელსაწყოს“ ქარხნის ელექტრომემონტაჟე ტ. პუსტოვოიტი. მარჯვნივ — საიუბილეო შრომითი ვახტის ავანგარდშია ქარხანა „თბილხელსაწყოს“ ელექტრომემონტაჟეთა ბრიგადა, რომელსაც ეთერ ხმალაძე ხელმძღვანელობს (მარცხნიდან) ზ. ჩაჩინსკაია, დ. დოლბაშვილი, ლ. მამისარაშვილი, ქ. ბოლაშვილი, თ. ტონოიანი, ბრიგადირი ე. ხმალაძე ტ. კაიზერი, ვ. კატილოვა და ე. ხუდადოვა.

ს. ედიშერაშვილის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## არმიისა და ხალხის მეგობრობა

### თათბირი მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხებზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს იდეოლოგიური და ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებებისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების მუშაკთა გაერთიანებული თათბირი, რომელიც მიეძღვნა მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საკითხებს.

თათბირში მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და სასაზღვრო ოლქის მეთაურები და პოლიტმუშაკები, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, განათლების სამინისტროების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის, საქართველოს დოსააფის ხელმძღვანელი მუშაკები. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის წარმომადგენლები, თბილისის სკოლებისა და სასწავლებლების პირველადი პარტიულ ორგანიზაციათა მდივნები და დირექტორები, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ახალციხის, თეთრი წყაროს, წითელწყაროსა და საგარეჯოს რაიონების პარტიულ ორგანიზაციათა მუშაკები.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის შესახებ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და იდეურ-თეორიული დოკუმენტია“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. სირაძემ.

სასწავლებლებისადმი ჯარის ნაწილების შეფობის მდგომარეობის, მისი გაუმჯობესების ღონისძიებებისა და ჯარის ნაწილებისადმი საწარმოთა საშეფო მუშაობის შესახებ ესაუბრა შეკრებილთ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტიკური სამმართველოს უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ა. ოვერჩუკი.

მესაზღვრეთა სამხედრო-საშეფო მუშაობაზე ესაუბრა თათბირის მონაწილეებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი მ. ხერედილოვი.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ბაქრაძე, თბილისის 26 კომისრის სახელობის წითელდროშოვანი არტილერისტ მეთაურთა უმაღლესი სასწავლებლის უფროსი გენერალ-მაიორი ვ. შუვალოვი, თბილისის 37-ე საშუალო სკოლის დირექტორი ლ. პუჩკოვა, ლესელიძის სახელობის სკოლა-ინტერნატის დირექტორი გ. ყუფუნია, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი ი. ბერიძე, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტკომის მდივანი გ. ჯიქიძე.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს ლექცია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, რომელიც წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ე. მენაბდემ. (საქინფორმი).

## „სალუტ-5“: ორი კვირა ორბიტაზე

ფრენის მართვის ცენტრი. 21 თებერვალი. (საქდესი). დამთავრდა „სალუტ-5“ ორბიტული სამეცნიერო სადგურით ვიქტორ გორბატკოსა და იური გლაზკოვის კოსმოსური ფრენის მეორე კვირა.

ორი უკანასკნელი სამუშაო კვირის განმავლობაში კოსმონავტები განაგრძობდნენ დაგეგმილი კვლევისა და ექსპერიმენტების შესრულებას.

დღეს დღის მეორე ნახევარში ეკიპაჟმა განახორციელა „სალუტ-5“ სადგურში დადგმული სპეციალური მრავალფუნქციური კომბინირებული სისტემის ექსპერიმენტული შემოწმება, რომელსაც პილოტირებული კოსმოსური ფრენის პრაქტიკაში პირველად იყენებენ. ამ სისტემის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა.

ამხანაგები გორბატკო და გლაზკოვი თავს კარგად გრძნობენ.

ორბიტული სადგური „სალუტ-5“ ფრენას განაგრძობს.



**სკკპ XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!**

# ჩვენი შრომისა და ბრძოლის უტყუარი კომპასი

**თ. მენთეშაშვილი,**
საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

## 1.

ჭეშმარიტად ამაღელვებელი დღეებია ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში. მშობლიური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის დიდსა და საპატიო გზას კიდევ უფრო მკაფიო შუქს ჰფენენ დიდმნიშვნელოვანი პარტიული დოკუმენტები სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებისა და ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვების სახით.

მაგრამ ეს წელი, მეათე ხუთწლედის მეორე წელი, მაინც განსაკუთრებულია. იგი ხომ დიდი ოქტომბრის საიუბილეო წელია. და აი მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, საქართველოს მშრომელებთან ერთად, ყველა თბილისელიც კმაყოფილებით, აღფრთოვანებითა და მოწონებით შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მესამოცე წლისთავის შესახებ“. ეს მეტად მოკლე, მაგრამ ბევრისმთქმელი და ღრმაშინაარსიანი მოთხრობაა ჩვენი მრავალეროვნული სამშობლოს სახელოვან, გმირულ ისტორიაზე.

თბილისის მშრომელთა ცხოვრება, შემოქმედებითი გარჯა და ვაჟკაცური შემართება თავანკარა ნაკადულივით ერთვის ქვეყნის საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების დიდ მდინარეს. ამ შეჯიბრების დევიზი ახლა ასეთია: ვამრავლოთ დიდი ოქტომბრის მონაპოვარი!

ყოველდღიურად იბადება და ჩნდება ახალ-ახალი თაოსნობანი და წამოწყებანი. არა მარტო თბილისში, ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში იტაცეს სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, „ისნის“ ფეხსაცმლის ფაბრიკის გამომჭრელთა ბრიგადირის გივი რიმნისთაველის ინიციატივა **„შრომითი საჩუქრების პირადი გეგმა — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს“.** შრომითს კოლექტივებში ფართოდ გამოეხმაურნენ აგრეთვე კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარისხის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელის ავთანდილ ხარიტონაშვილის პატრიოტულ წინადადებას — იბრძოლონ **„დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის სახელობის ბრიგადის“** წოდებისათვის.

სწორედ თბილისელთა ასეთი აქტიურობის, მათი ალალი და შემოქმედებითი გარჯის, აქაური კომუნისტების ორგანიზატორული და საზრიანი მუშაობის თვალნათელი დადასტურებაა ის, რომ ამ დღეებში როგორც ჩვენი რესპუბლიკა, ისე მისი დედაქალაქიც 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშებით დააჯილდოვეს. საკავშირო დროშები დაიმსახურეს აგრეთვე აჭარის ასს რესპუბლიკამ, ქალაქმა ქუთაისმა, აბაშის, გორის, ზუგდიდის რაიონებმა. ამ დიდ გამარჯვებას გულწრფელად ულოცავენ მათ თბილისელი მშრომელები.

საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს — თბილისის ცალკეულ შრომითს კოლექტივებს — ასევე საკავშირო გარდამავალი დროშები მიენიჭათ. მათ შორის არიან ამიერკავკასიის ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი რკინიგზა და თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანება.

ძნელია ერთ საგაზეთო სტატიაში დაწვრილებით აღინიშნოს გაწეული შრომის ყველა დადებითი ფაქტი და შედეგი, თუმცა აუცილებელია ითქვას, რომ გამარჯვება დიდი და დაძაბული შრომის ფასად მოვიპოვეთ. აბა, გავაანალიზოთ ეს ციფრები: თუ შარშან თბილისელმა მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 50 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია გამოეშვათ, ეს საპატიო მიჯნა მათ თითქმის ორი თვით ადრე გადალახეს და წლის ბოლოს დამატებით კიდევ 10 მილიონი მანეთის პროდუქცია აწარმოეს.

ამას რომ ვამბობთ, მიღწეულით თვითკმაყოფილების აღნიშვნა როდი გვინდა. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ წრფელი მადლიერებით გამოვხატოთ იმ დიდი და კეთილმყოფელი დოკუმენტის გავლენის ძალა, რომელმაც ესოდენ გულსასახარი შედეგები მოგვიტანა. ლაპარაკია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებაზე „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“.

დიახ, უკვე ხუთი წელი გავიდა ამ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული დადგენილების მიღებიდან. ხუთი წელია ამ დადგენილების მითითებებითა და გათვალისწინებით მოქმედებენ არა მარტო თბილისის პარტიული ორგანიზაცია, არამედ საქართველოს მთელი პარტიული ორგანიზაცია, მისი ადგილობრივი ორგანოები. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ დადგენილების მიღების პირველ წელს ჩვენში ყველა კომუნისტმა, ყველა ხელმძღვანელმა მუშაკმა სწორად როდი გაიგო ამ დადგენილების მთელი სიღრმე, მთელი მნიშვნელობა და მასში აღნიშნული ნაკლოვანებებისა და დამახინჯებათა გამოსწორება მარტო თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის საქმედ მიიჩნიეს.

მხოლოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ 1972 წლის შემოდგომიდან აღებულმა პრინციპულმა კურსმა, ცენტრალური კომიტეტის IX-X და მომდევნო პლენუმებზე დასახულმა თანმიმდევრულმა პრინციპულმა ღონისძიებებმა სათავე დაუდო მთელს რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისათვის, წლობით ჩამორჩენილი ჩვენი ეკონომიკის წინსვლისათვის მეტად შეტევითს, შეურიგებელ ბრძოლას.

მაგრამ დადგენილების ეს მასშტაბი, რომელიც მთელ რესპუბლიკას გადასწვდა, როდი ამცირებს მისი შესრულებისათვის თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების როლს. პირიქით, ისინი კვლავაც მიიჩნევენ, რომ რაც უფრო დიდია მასშტაბი, მით უფრო მეტია მათი პასუხისმგებლობა.

## 2.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებაში სიტყვასიტყვით სწერია: **„პარტიის საქალაქო კომიტეტი საკმარისად არ ითვალისწინებს დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობის სპეციფიკას, ყოველთვის როდი აქვს მხედველობის არეში მუშაობის ყველაზე საყურადღებო უბნები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ქალაქისათვის, არამედ მთლიანად რესპუბლიკისთვისაც“.**

მართლაც, თბილისში — რესპუბლიკის ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრში — თავმოყრილია საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის მეცნიერული და კულტურული კერები, სამინისტროები და უწყებები, სადაც მუშაობენ ქალაქის კომუნისტები და რომლებიც ბევრად განსაზღვრავენ რესპუბლიკის სახეს.

მილიონიან თბილისში თავმოყრილია რესპუბლიკის სამრეწველო პოტენციალის მესამედი. ამასთან, როგორც უკვე მივეჩვიეთ და დაუწერელ კანონადაც იქცა, დედაქალაქს უნდა ბაძავდნენ, მხარს უნდა უსწორებდნენ და ყოველგვარი კარგი და დადებითი, რასაც იგი თავს მოუყრის, უნდა ვრცელდებოდეს ყველა ქალაქში, რაიონში, სოფელში...

სწორედ ამის შეგნებამ, მდგომარეობის ნათლად გააზრებამ აამაღლა ქალაქის პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, მშრომელების პასუხისმგებლობა, გაზარდა მათი ინიციატივა და აქტიურობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის ივნისის დადგენილებაში, რომელიც ჩვენი პარტიის ლენინური ზრუნვის კიდევ ერთი მკაფიო და ნათელი დადასტურებაა, გასაოცარი ლაკონიურობით, მაგრამ ღრმად და ყოვლისმომცველად შეჯამებულია საქართველოს კომპარტიის მთელი საქმიანობა პარტიის თბილისის კომიტეტის შესახებ მიღებული დადგენილების შესასრულებლად.

ვერცერთი ფაქტით, ვერცერთი ციფრით ამ დადგენილებაზე უკეთ ვერ გამოხატავ ჩვენ მიერ ამ ხუთი წლის მანძილზე შექმნილსა და გაკეთებულს. მასში ჩანს თბილისელ კომუნისტთა საქმეებიც: მაგალითად, უკვე ყოველწლიურად შესამჩნევად უმჯობესდება პროდუქციის ხარისხი, სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი ნაწარმის რაოდენობა 192-მდე გაიზარდა, ხოლო გამოსაშვები პროდუქციის საერთო მოცულობაში მათი წილი 8 პროცენტამდე გადიდდა.

იმაზე, თუ რას იძლევა შრომის ორგანიზაციისა და მართვის გარდაქმნა კონცენტრაციის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების საფუძველზე, ნათლად მეტყველებს სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მთელი მუშაობა. აქ მხოლოდ 17 პროცენტით გაიზარდა სამრეწველო-საწარმოო პერსონალი, ხოლო ძირითადი ფონდები — 25 პროცენტით. მაგრამ, შედეგს არ იკითხავთ? 71 პროცენტით გადიდდა პროდუქციის გამოშვება, ფონდუკუგება — 36 პროცენტით, ხოლო შრომის ნაყოფიერება — 53 პროცენტით და მეტად. ამ მხრივ კარგ შედეგებს მიაღწიეს სხვა საწარმოო გაერთიანებებშიც — „ელმავალმშენებელსა“ და „ელექტროაპარატში“.

ყოველივე ეს თავისთავად როდი მოხდა. ამას ხელი შეუწყო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ, გაერთიანების პირობებში ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობამ.

სულ უფრო მცირდება ქალაქში იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც გეგმებსა და ნაკისრ ვალდებულებებს ვერ ასრულებენ. ამ მხრივ, მოსაწონია პირველი მაისის რაიონული პარტიული კომიტეტის მუშაობა, რომელმაც პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან ერთად გამოიჩინა ინიციატივა: **1977 წლის თებერვლიდან არ მყავდეთ არცერთი ჩამორჩენილი საწარმო, თვითეულმა შრომითმა კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულოს საწარმოო გეგმა.**

## 3.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში განსაკუთრებული შეშფოთება იყო გამოთქმული იმის გამო, რომ წლობით ვერ სრულდებოდა კაპიტალური მშენებლობის დავალებები. განხორციელებულ ღონისძიებათა ფართო კომპლექსმა პირველი შედეგები მოგვცა და ეს დადებითად არის შეფასებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გასული წლის 22 ივნისის დადგენილებაში.

როგორც ამ დადგენილებაში, ისე პარტიის თბილისის კომიტეტის შესახებ ხუთი წლის წინათ მიღებულ ისტორიულ დოკუმენტში, გამოსჭვივის უდიდესი ზრუნვა ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის. აი რატომ არის, რომ დადგენილებაში — თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, ნათქვამია: „საქართველოს სსრ პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ საჭიროა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება კაპიტალურ მშენებლობაში, ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად“.

ამას რომ ითვალისწინებენ, პარტიის საქალაქო კომიტეტი, პარტიის რაიკომები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები სულ უფრო ხშირად, ამასთან ღრმად და კომპეტენტურად განიხილავენ კაპიტალური მშენებლობის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებს. ერთგვარი წარმატებების მიუხედავად. ამ მხრივ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი ნაკლი გვაქვს; გაკეთებული გასაკეთებელთან შედარებით მეტად მცირეა; ბევრია დამახინჯება, მითვისებისა და დატაცების, მომხმარებელთა მოტყუების ფაქტები კვლავაც ხშირად გვხვდება, და რომ ყოველივე ეს ხალხის თვალში ავტორიტეტს ულახავს ჩვენი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ბევრ საინტერესო ღონისძიებას. რა დამტკიცება უნდა იმას, რომ ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება ისეთი დარგებია, რომელთა ნაკლს ყოველდღიურად თითქმის ყველა ადამიანი ხედავს, გრძნობს, განიცდის.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმმა ყოველმხრივ, ღრმად და ნამდვილად მეცნიერულ დონეზე განიხილა ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საკითხი. პლენუმის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე თბილისის პარტიული ორგანიზაციის კონკრეტულ ამოცანებზე გამართა დიდი სჯა-ბაასი პარტიის საქალაქო კომიტეტის ბოლო პლენუმმა.

**რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა მხარეზე დიდი დადებითი ზეგავლენა მოახდინა და კვლავაც ახდენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ.**

**საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სწორი დასკვნები გამოიტანა ამ დადგენილებაში აღნიშნული სერიოზული ნაკლოვანებებიდან და შეცდომებიდან. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თბილისის საქალაქო კომიტეტმა, სხვა პარტიულმა კომიტეტებმა თვითკრიტიკულად გააანალიზეს საქმეთა ვითარება რესპუბლიკაში, შეიმუშავეს და ახორციელებენ იმ ღონისძიებათა ფართო სისტემას, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლება, მათი პოლიტიკური შეგნებულობისა და შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი ზრდა. წარმოებს მიზანდასახული მუშაობა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის. მნიშვნელოვნად გაიზარდა პარტიულ ორგანიზაციათა ავტორიტეტი, გაძლიერდა მათი წარმმართველი და მაორგანიზებელი გავლენა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიური და სულიერი ცხოვრების სხვადასხვა დარგში.**

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებიდან**

დიახ, დღეს ჩვენ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვამახვილებთ ყურადღებას. თუ რა მოვიპოვეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლის დიდსა და პრინციპულ გზაზე. და ეს საჭიროა იმიტომ, რომ პოზიტიური ძვრები ვამრავლოთ, დადებითი განვამტკიცოთ, შექმნილი გამოცდილება ფართოდ გავავრცელოთ. მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დავკარგოთ მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, როგორც ამაზე მუდამ დაჟინებით ამახვილებს ყურადღებას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, ვეძებოთ ახალ-ახალი რეზერვები, დროზე და მაქსიმალურად ავამოქმედოთ ისინი — აი მთავარი მოთხოვნა შარშან, ივლისში გამართული პლენუმისა, რომელზეც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში მოცემული ჩვენი საბრძოლო ამოცანები განვიხილეთ.

მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ წინსვლის ერთ-ერთი მთავარი რეზერვი **დისციპლინის განმტკიცებაა.** ამ მხრივ, ფართოდ ინერგება რუსთაველთა პატრიოტული თაოსნობა — „არცერთი უდისციპლინო, ჩამორჩენილი — ჩვენ გვერდით!“. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა მოიწონა თბილისის მოწინავე სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების ინიციატივა, რომლებიც მუშაობენ დევიზით **„საწარმოს თვითეულ რგოლს — წარმოების მაღალი კულტურა და სანიმუშო დისციპლინა“.**

პარტიის საქალაქო კომიტეტთან შექმნილია წარმოების რეზერვების გამოვლენის კომისია. ანალოგიური კომისიები შექმნილია ყველა რაიონში, მსხვილ საწარმოებში.

შრომითი კოლექტივების ასეთი გააქტიურება, ადამიანთა ურთიერთ-მომთხოვნელობისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება ის წყაროა, ყოველდღიურად ახალ და ახალ წარმატებებს რომ აძლევს სათავეს.

მაგრამ უკანასკნელი წლების ყველაზე დიდი მიღწევა, ყველაზე დიდი მონაპოვარი ის არის, რომ დადებითად შეიცვალა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ჯანსაღდება ჩვენი საზოგადოებრივი ატმოსფერო. ჩვენი ქალაქის მაგალითით თვალნათლივ ჩანს, თუ როგორ დაუბრუნდნენ ბევრ საწარმოს წინათ ცოტა არ იყოს რწმენადაკარგული მუშები, როგორი ხალისით შეაქვთ ახლა ახალგაზრდებს საბუთები უმაღლეს სასწავლებლებში, როგორ ამაღლდა ჭეშმარიტად მშრომელი კაცის ავტორიტეტი, ხოლო მექრთამეების, მომხვეჭელების, ჩვენი საზოგადოების სხვა ანტიპოდების ფეხქვეშ ხშირად, როგორც იტყვიან, მართლაც რომ მიწა იწვის.

აქაც არ შეიძლება თვითდამშვიდებულნი ვიყოთ, არ შეიძლება ერთი წუთითაც კი შევასუსტოთ ბრძოლა, სამწუხარო კი არა, პირდაპირ საგანგაშო ფაქტები მოსვენებას არ უნდა გვაძლევდეს არც ქალაქის პარტიული ორგანიზაციის აქტივისტებს, არც ადმინისტრაციულ ორგანოებს და არც მთელ საზოგადოებრიობას.

შორს რომ არ ვეძებოთ, მექრთამეობის ფაქტები ხომ 26 კომისრის რაისაბჭოს აღმასკომში და ლენინის რაიონის ერთ-ერთ საბინაო-საექსპლოატაციო კანტორაშიც გამოვლინდა!

დევიზი — **„გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო ყოფისა და კომუნისტური შრომის ქალაქად“** — მარტო ლამაზი სიტყვები როდია. იგი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისა და მოქმედების თანამგზავრი სიტყვებია.

## 4.

დიდია თბილისის — ამ ინტერნაციონალური ქალაქის გეგმები და მასშტაბები მეათე ხუთწლედში, რომლებსაც საფუძვლად უდევს სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებები. მაგრამ მათ წარმატებით ვერ განვახორციელებთ, თუ კვლავაც ყოველდღიურად არ ავამაღლეთ პარტიულ-ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე, თუ არ ვიბრძოლეთ ყველა უბანზე მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის.

საქმის თავიდათავია ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის კომპლექსურობა. უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტისას სამეურნეო, ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ერთიანობა ყველა პარტიული ორგანიზაციის, პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტის მოღვაწეობის აუცილებელი ნორმა უნდა გახდეს.

რა თქმა უნდა, საამისოდ ცოტა როდი კეთდება პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტის სათანადო განყოფილებებში. უთუოდ კარგად ეხმაურებიან მშენებელთა თაოსნობებს, წარმართავენ მათ საქმიანობას, მაგრამ აქვე მეტად თვალნათლივ ჩანს, რომ ძალიან დიდსა და საჭირო ამ მოძრაობაში ჭარბობს ორგანიზაციული მხარე, იდეურ-აღმზრდელობითი საქმე კი ჩამორჩება სადღეისო მოთხოვნებს.

პარტიულ ორგანიზაციებში მტკიცდება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპები, უმჯობესდება შინაპარტიული ინფორმაცია, შესრულების შემოწმებისა და კონტროლის ორგანიზაცია, ახლა უკვე შემოქმედებითად მზადდება და იმართება პარტიის საქალაქო კომიტეტის, პარტიის რაიკომების პლენუმები, აქტივის კრებები, სამეცნიერო-პრაქტიკული და თეორიული კონფერენციები.

როცა მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე პლენუმს ვამზადებდით, პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრები იყვნენ ადგილებზე შრომითს კოლექტივებში, პირველადს პარტორგანიზაციებში, საქალაქო კომიტეტს წარმოუდგინეს საკუთარი თვალით ნანახი და განცდილი, საინტერესო მოსაზრებანი და შენიშვნები. პლენუმის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა პრესა, მომზადდა სპეციალური კინოფილმი. საქალაქო კომიტეტის შემადგენლობა სამ სექციად დაიყო, რომლებმაც ადგილებზე ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს.

პირველადი ორგანიზაცია მთავარი დასაყრდენია. რა კეთდება მათი ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად? პარტიის საქალაქო კომიტეტთან შექმნილი მეთოდიკური საბჭო სხვა ღონისძიებებთან ერთად აწყობს რესპუბლიკური უწყებების პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების შეკრებას, აქ ეძლევათ მათ რჩევა, თუ როგორ აამაღლონ აპარატის კომუნისტების, ყველა თანამშრომლის პასუხისმგებლობა.

დღეს უკვე ცოტას ნიშნავს, როგორც ეს პირველ ეტაპზე ხდებოდა, ნდობადაკარგული მუშაკები შეცვალო პატიოსანი კადრებით. პატიოსნება, მორალური სიწმინდე ჩვენი კადრების მთავარი თვისება უნდა იყოს, მაგრამ თუ ამას თან არ ახლავს საჭირო ცოდნა და ღრმა კომპეტენტურობა, ისე დიდი მასშტაბის ამოცანებს ვერ გადავწყვეტთ. ამიტომ აღმზრდელობითი მუშაობის მთელ კომპლექსში, რომლითაც საქალაქო პარტიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობს, დიდი ადგილი უჭირავს კადრების აღზრდას სწორედ იმ თვალსაზრისით, რომ მათ შეითვისონ მეცნიერება, ჰქონდეთ საქმის სწორად განსჯის, სწორი ანალიზის უნარი.

ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის XXV ყრილობაზე აღნიშნა:

**„ლვოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციის, თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ დადგენილებებში ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიულ ორგანიზაციათა ყურადღება მიაპყრო ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს. დღეს ჩვენ შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ აქედან სწორი დასკვნებია გამოტანილი. პარტიულმა ორგანიზაციებმა მშრომელთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობა უფრო ინიციატივიანად და ფართოდ წარმართეს“.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილება, რომლითაც ჩვენი მუშაობის ახალი ეტაპი დაიწყო, მიგვითითებს, რომ სულ უფრო დავიცვათ დიდი ოქტომბრის მთავარი მონაპოვარი — ინტერნაციონალიზმი, ხალხთა მეგობრობა. ეს მთელი ჩვენი ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობის მთავარი უბანია.

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებანი ჩვენი შრომისა და ბრძოლის უტყუარი კომპასია!**

# ნათელი ორიენტირი

უაღრესად დიდი, ისტორიული დოკუმენტია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ. ხუთი წელი გავიდა მას შემდეგ. ეს არც თუ ისე დიდი დროა, მაგრამ თავისი მასშტაბით, მნიშვნელობით რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში ათეულ წლებს უთანაბრდება.

მოდით, გადავხედოთ დაძაბული ბრძოლისა და შრომის ამ ხუთ წელიწადს. ერთხელ კიდევ გავაანალიზოთ, რა მოგვიტანა ნეგატიურ მოვლენებთან, ანტიპოდებთან ბრძოლამ, ჩავარდნებისა და ხარვეზების გამოსასწორებლად დაუღალავმა შრომამ.

ჩვენ, მუშები, ხშირად ვსაუბრობთ, ვადარებთ არც თუ ისე შორეულ წარსულსა და ახლანდელს, და მართალი გითხრათ, ვინ მოთვლის რამდენ სასიკეთოს ვხედავთ. გვეამაყება, რომ დაფასდა შრომა, ამაღლდა მუშაკაცი. ამის თვალსაჩინო მაგალითია ის, რომ ახალგაზრდები დაიძრნენ მუშური პროფესიებისაკენ, მიაშურეს მშენებლობებსა და საკოლმეურნეო მინდვრებს.

ჩვენს ეკონომიკაში წარმატებებს ვინ მოთვლის! მაგრამ ყველაზე დიდ მონაპოვრად, ჩემი აზრით, მაინც მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება მიგვაჩნია.

ყველა ნათლად გრძნობს იმ დიდ ზრუნვას, რაც მშრომელთა მატერიალურ-ეკონომიური, საყოფაცხოვრებო-საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად ხორციელდება, ბევრი დეფიციტური საქონელი პირდაპირ ხელიდან გამოეგლიჯეთ ქორ-ვაჭრებსა და უპატიოსნო ადამიანებს. ახლა ჩვენ, და არა მარტო ჩვენ, ორგანიზებულად, სამუშაო ადგილზე ვიძენთ ჩვენთვის საჭირო ავეჯსა თუ სხვა საოჯახო ნივთს, მსუბუქ ავტომანქანასაც კი.

რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად გამოვეხმაურეთ მეტალურგთა ინიციატივას „არცერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით“ და მართლაც ბრიგადა, რომლის წევრები ერთი ფიქრითა და საზრუნავით ვართ გამსჭვალულნი, ენერგიულად ვშრომობთ და წარმატებებსაც ვაღწევთ. რესპუბლიკაში მიწისქვეშა სამუშაოებზე პირველებმა დავნერგეთ ზლობინის მეთოდი — კარგახანია ობიექტებს მხოლოდ ფრიადი შეფასებით ვაბარებთ, რამაც დიდი მატერიალური სიკეთეც მოგვიტანა. გვეამაყება, რომ ჩვენი ბრიგადის მიერ აშენებულია მეტროს სადგური რუსთაველი და შემდგომი ობიექტები სადგურ სამგორამდე. 75 დღე ვიმუშავეთ ბაქოს მეტროს მშენებლობაზე, აზერბაიჯანელ მეგობრებს გავუზიარეთ ჩვენი გამოცდილება, მონაწილეობა მივიღეთ მათი მეტროპოლიტენის პირველი რიგის საექსპლოატაციოდ გადაცემაში. ისე ნურავინ გაგვიგებს, რომ თბილგვირაბმშენის სამმართველოში მხოლოდ ჩვენა ვართ კარგი ბიჭები. ჩვენთან ბევრია მოწინავე ადამიანები, ბრიგადები... იმ უბნებს, რომლებსაც გ. კეკელიძე, თ. კახმაზოვი და ი. გიგოლაევი ხელმძღვანელობენ, ჩვენზე არანაკლები წარმატებები აქვთ.

ამ დღეებში სიამოვნებით ვკითხულობდით გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილებს აბაშის რაიონის მშრომელთა მიღწევებზე, ამ ნარკვევებმა თვალნათლივ დაგვანახვა, რა მოიტანა მონდომებამ, სწორმა ხელმძღვანელობამ, მატერიალურმა დაინტერესებამ. ხომ შეიძლება ასე სხვაგანაც გაკეთდეს. ერთი აბაშა ნამდვილად არ გვეყოფა.

დასანანია, რომ ზოგიერთ ურწმუნო თომას, რომელიც მოპოვებული სიკეთით კი სარგებლობს, მაგრამ მაინც ჯიუტად არ სურს დაინახოს გაკეთებული, მიღწეული. ბუნებრივია, რაც ათეული წლების დამკვიდრდა, იმას ერთი ხელის დაკვრით ვერ გამოასწორებ. და აი დღესაც გვაქვს ზოგიერთი შეფერხება, უნებისყოფო ადამიანები კი ამაზე მხოლოდ ლაყბობენ.

მაინც ვინ არიან ისინი, ვისაც ხელს არ აძლევს ამდენი შრომითა და გარჯით მიღწეული? ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც წლობით მრუდე და ბოლო გზით უვლიათ. ვისაც გაუძნელდა ბნელი საქმის კეთება და არ იცის სიკეთისა და შრომის ფასი. ამ ნაძირალებს საკადრისი პასუხი ჩვენ უნდა გავცეთ, დიახ, არ მივცეთ ჩვენი ნაამაგარის გაუფასურების, სახელის გატეხის საშუალება.

ცხადია, ბევრია მიღწეული, გულსასახარი, მაგრამ ბევრია აგრეთვე მოსაგვარებელიც. და ეს უნდა გაკეთდეს არა ხვალ ან ზეგ, არამედ დღესვე, დაუყოვნებლივ. სწორედ ამაზე, ხალხის კეთილდღეობის საზრუნავზე იყო დიდი სჯა-ბაასი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინათ გამართულ V პლენუმზე, რომელმაც შემდგომი მაღალნაყოფიერი მუშაობის კონკრეტული ღონისძიებანი დასახა.

ჩვენ, მუშები, ამ ზრუნვას თავდადებული შრომით ვუპასუხებთ, ბოლომდე აქტიურად მივყვებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მტკიცე კურსს, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლისა და გასული წლის 22 ივნისის დადგენილებებიდან გამომდინარეობს, კონკრეტული საქმეებით ვუპასუხებთ მშობლიური პარტიის XXV ყრილობის მოთხოვნებს.

**გ. კიწმარიშვილი,**
თბილგვირაბმშენის სამმართველოს მეხუთე საგვირაბო რაზმის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი, საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

## ხუთწლედის ადამიანები

ამ სურათზე აღბეჭდილია საქართველოს მოწინავე ადამიანების ერთი ჯგუფი, რომლებიც ხუთწლედისათვის ბრძოლის წინა ხაზზე დგანან, თავდადებული შრომით ამრავლებენ სამშობლოს ხვავსა და ბარაქას. (მარცხნიდან) ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. ჭანიძე, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. მეჭევრიშვილი, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ქსოვტატი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ქემაშვილი, ტყვარჩელქვანახშირის № 2 შახტის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ტუებუჩავა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ასათიანი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი ზ. ალხანიშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ჩხარტიშვილი, გურჯაანის საბჭოთა მეურნეობის მევენახე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. კიქერაშვილი, მაიაკოვსკის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო ვაზის სანერგეს მევენახე მ. კოვზირიძე, საგარეჯოს რაიონის გარეჯის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. თედიაშვილი, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის ოსტატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზ. ჯიკაევა, თბილისის № 1 სატვირთო ავტოსაწარმოს მძღოლი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ემნაძე, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. ლოლობერიძე, თბილისის ლენინის რაიონის სარემონტო-სამშენებლო კანტორის კალატოზი გ. ავსაჯანიშვილი, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ა. ვოუბა.

ვლ. ვინხბურგის ფოტო.



20—21 თებერვალი

# „პრავდის“ ფურცლებზე

წლის მეორე თვე მთავრდება, ნათქვამია კვირის ნომრის მოწინავე წერილში („სახელი და დიდება მოწინავეებს“), სწორედ ახლა ეყრება საფუძველი მიღწევებს, რომლებითაც შრომითი კოლექტივები ოქტომბრის იუბილეს აღნიშნავენ. ინდუსტრიის მუშაკებისათვის ამ დღეებში ყველაზე მთავარია რიტმულად მზარდი ტემპით გაუძღვნენ წარმოებას, რათა ვადამდე შეასრულონ პირველი კვარტალის პროგრამა. კარს მომდგარი გაზაფხული აჩქარებს მიწათმოქმედებს: საგაზაფხულო ალოობისათვის სანიმუშოდ უნდა მოამზადონ ტექნიკა და თესლი, მოიმარაგონ მეტი სასუქი, კარგად ასწავლონ კადრებს, ხოლო მეცხოველეობაში პირუტყვის გამოზამთრებას რომ დაამთავრებენ, განუხრელად გაზარდონ ფერმების პროდუქტიულობა.

საბჭოთა ადამიანები დამკვრელური მუშაობით აღნიშნავენ ხუთწლედის მეორე წელს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ გამოტანილი დადგენილების პასუხად ისინი კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს, იღებენ შემხვედრ გეგმებს, ამასთან ძირითად ყურადღებას უთმობენ წარმოების ინტენსიფიკაციას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვას. მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებასა და ხარისხის გაუმჯობესებას. ამ პირობებში კიდევ უფრო იზრდება წარმოების ხელმძღვანელთა როლი და პასუხისმგებლობა საწარმოთა საქმიანობისათვის, მეურნეობრიობის საბოლოო შედეგებისათვის.

შევამოწმოთ ადამიანი პრაქტიკულ სამუშაოზე, წერს გაზეთი გუშინდელ მოწინავეში („კადრების ატესტაცია“), გავიგოთ, რა შეუძლია მას, რა შედეგებს მიაღწია თავის საქმიანობაში და მხოლოდ ამის შემდეგ მივანიჭოთ შესაბამისი მასშტაბით საშემსრულებლო, განმკარგულებელი შრომის უფლება, — ასე გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი კადრების შზადებას. უწყება-სამინისტროებმა, მათმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა შეისწავლონ ატესტაციის შეძენილი გამოცდილება, ყურად იღონ დაშვებული შეცდომები, დასახონ საქმის სრულყოფის კონკრეტული გზები. აქ აქტიური როლი უნდა შეასრულონ ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა, რომლებმაც კონტროლი არ უნდა მოაკლონ კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას...

ხელმძღვანელ სამეურნეო კადრებთან მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის წარმატებულ შესრულებას, მტკიცე წინსვლას მეათე ხუთწლედის მიჯნების მიღწევის გზაზე.

ПРАВДА

21 თებერვალი

# ფაქტები, პრობლემები

## ძმობილის აზრი

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოების ინფორმაცია

გამოხმაურება

# სოციალიზმის ისტორიული უპირატესობა

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების ხელმძღვანელებთან მოსკოვის შეხვედრაზე საზღვარგარეთ ფართო გამოხმაურება მოჰყვა.**

საბჭოთა კავშირთან სოციალისტური ქვეყნების მეცნიერული ურთიერთობა ყაღრესად წარმატებით ვითარდება, წერს ჩეხოსლოვაკიური „რუდე პრავო“. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რამდენად დიდმნიშვნელოვანია ეს თანამშრომლობა, რადგან მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება მეცნიერების უდიდესი შესაძლებლობებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების რაციონალური გამოყენება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლას, განაგრძობს გაზეთი, დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების ყველა დარგში მომუშავე მეცნიერებისათვის, არ უნდა დავივიწყოთ, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, მეცნიერების დიდმნიშვნელოვანი როლი მეცნიერული, ესე იგი მარქსისტულ-ლენინური, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების დროს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ეს არის დიდი საპროგრამო მნიშვნელობის დოკუმენტი, ხაზს უსვამს ბულგარული „ზემედელსკო ზნამე“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მკაფიოდ, ანალიზურად და შთამბეჭდავად დასახა მაგისტრალური ამოცანები და სტრატეგიული მიმართულებანი, რომელთა მიხედვით უნდა განვითარდეს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მეცნიერება. მის სიტყვებში გამოხატულია ლენინური ზრუნვა მეცნიერული კვლევის განვითარებისა და როლის ამაღლებისათვის. მოძმე ქვეყნების მეცნიერთა კეთილშობილურმა მისიამ და მათმა თანამშრომლობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა იმიტომაც, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ მშვიდობისათვის, უშიშროებისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბრძოლაში.

პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“ წერს, რომ სოციალისტური ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანები მოითხოვენ პრაქტიკასთან თეორიული კვლევის დაახლოებას. ამას ხელს შეუწყობს დიდი მიზნობრივი სამეცნიერო პროგრამების განხორციელება. საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა ამ პროგრამების სწრაფი რეალიზაციის არსებითი ფაქტორია, აღნიშნავს გაზეთი, და შემდეგ წერს, რომ სოციალისტურ ქვეყნებში დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მარქსიზმ-ლენინიზმის, როგორც მთელი მეცნიერების მეთოდოლოგიური საფუძვლის, განვითარებას.

„სოციალისტური ქვეყნების მეცნიერებს შეუძლიათ იამაყონ იმ როლით, რომელიც ეკუთვნით კაცობრიობის პროგრესის საქმეში“ — ასეთი სათაურით დაბეჭდა ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის დაწვრილებითი შინაარსი კუბურმა „ხუვენტუდ რებელდემ“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლა კვლავ ადასტურებს იმ უდიდეს ყურადღებას, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო უთმობენ სამეცნიერო საქმიანობას, სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა თანამშრომლობის განვითარებას, თქვა ცნობილმა უნგრელმა მეცნიერმა აკადემიკოსმა ჰ. ტეტენიმ. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა ახალ ფართო პერსპექტივებს გვისახავს შემოქმედებითს საქმიანობაში.

იმ ფაქტს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა ყურადღება მიაპყრო დიდმნიშვნელოვან ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა შეესაბამება არა მარტო სოციალისტური თანამეგობრობის, არამედ მთლიანად კაცობრიობის ინტერესებს, ჭეშმარიტად თვალსაჩინო მნიშვნელობა აქვს. სოციალისტური წყობილების ისტორიული უპირატესობა და ღრმა ჰუმანიზმი ჩანს ამ ფართო მიდგომაში პრობლემებისადმი, რომლებიც მსოფლიოს ყველა ხალხს აწუხებს (საკდესი).

წარდგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიაზე

# ტყე სიცოცხლეა

**გამომცემლობა** „საბჭოთა საქართველომ“ 1969-1976 წლებში გამოსცა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის დოცენტ რევაზ გოცირიძის შრომები, რომლებიც დაშვებულია საქართველოს სსრ 1977 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის.

რ. გოცირიძის შრომებში — „ტყე და გარემო“, „წიწვოვანი ტყის ზრდა-განვითარება“, „ბიოგეოცენოლოგიის ზოგიერთი საკითხი მთის ტყეებში“ და „მცენარის სიცოცხლის საწყისი“ — შესრულებულია დიდი, შრომატევადი მეცნიერული სამუშაო, რომელსაც თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. შრომები საგულისხმოა იმით, რომ ტყე შესწავლილია არა მარტო როგორც ცალკე და დამოუკიდებლად არსებული ობიექტი, არამედ როგორც სისტემა, რომელიც კავშირშია დედამიწასთან, ნიადაგთან, ტყის მკვდარ საფართან და სხვა.

მონოგრაფიათა ციკლში მოცემულია ასწლოვან ფიჭვნარ კორომებში ნივთიერებათა ბიოლოგიური ბრუნვის კვლევა. საანალიზოდ გამოყენებულია პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კლასების სამოდელო ხეები, რომლებიც ძირითადად ქმნიან და აყალიბებენ ტყის კორომს.

ფიჭვნარ კორომებში ნივთიერებათა ბიოლოგიური ბრუნვის ასეთი დეტალური გამოკვლევა ზემოაღნიშნული მეთოდით და მიღებული შედეგების ანალიზი ჯერჯერობით არავის ჩაუტარებია.

სხვადასხვა კლასის ხეების მემკვიდრული თვისებების შესასწავლად ავტორს გამოყენებული აქვს კვლევის ორიგინალური მეთოდები.

რ. გოცირიძე ფიჭვის ერთხნოვანი კორომების (ასწლიანი ფიჭვნარი) ხეთა რთული ანალიზის შედეგად და მათემატიკური სტატისტიკის გამოყენებით ადასტურებს, რომ ხეების კლასიდან კლასში გადასვლა არ ხდება და ყოველი კლასის ხის ანუ მისი სიმაღლის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს ხის მემკვიდრული თვისება შეადგენს, რომელიც ფიჭვის თესლშია მოცემული.

ეს არის ტყის ზრდის მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება, რომლის აღმოჩენას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

რ. გოცირიძეს საინტერესო დასკვნები გამოაქვს აგრეთვე ტყის შიგა გარემოში თვითეული ხის ზრდა-განვითარების შესახებ, რაც ხეების რთული ანალიზისა და მათემატიკური სტატისტიკის გამოყენებით არის შესრულებული.

ტყეში არსებული ობიექტური კანონების შეცნობის საფუძველზე ირკვევა, რომ ტყის შიგა გარემოში მოქცეული ცალკეული ხეების სიცოცხლეში თავს იჩენს შესაძლებლობისა და ნამდვილობის ორგვარი ბუნება; პირველი ხის მემკვიდრეობითი თვისებებით განისაზღვრება (ის, რაც მის შესაძლებლობასა და შინაარსს შეადგენს, რაც აუცილებელი და დამახასიათებელია მისთვის), ხოლო მეორე არ არის დამახასიათებელი მისი ბუნებისათვის.

მეტყევეობაში გაბატონებულია მოსაზრება, თითქოს ხეებს შორის ბრძოლა და კონკურენცია წარმოადგენს ტყის გამოხშირვის ძირითად საფუძველს და ტყის განვითარების მამოძრავებელ ძალას. რ. გოცირიძე ახლებურად ხსნის ამ საკითხს. იგი აღნიშნავს, რომ ხეების ბუნებრივ კვდომას მათ შორის ბრძოლით ან კონკურენციით რომ ხსნიან, მხედველობიდან რჩებათ ტყის შიგაგარემოში მომქმედი მრავალი მიზეზი, რომლებიც ერთსა და იმავე დროს შეიძლება მიმართული იყოს ტყის თვითგამოხშირვის ან ხეების ბუნებრივი კვდომის პროცესისაკენ.

რ. გოცირიძეს თავის შრომაში — „მცენარის სიცოცხლის საწყისი“ — კონკრეტული ფაქტობრივი მასალის ანალიზის მეშვეობით მიზნად დაუსახავს დაადასტუროს დებულება, რომ ყოველი სისტემა, როგორც მთლიანობა, საკუთარი შინაგანი კანონზომიერებით არის მოწესრიგებული, ამიტომ შედარებით დამოუკიდებელი, თავისთავადი და ავტონომიურია. ავტორი ცდილობს მცენარის სიცოცხლის საწყისისა და თვითმიზეზის ცნება განიხილოს გლობალურად.

ავტორი განიხილავს რა უდაბნოს და ტუნდრის მცენარეთა არსებობის წესს, დაასკვნის, რომ მცენარის სიცოცხლის საწყისი თესლისა და ღეროს ერთიანობაა.

მცენარე იმის გამო არსებობს, რომ საკუთარი თავის მიზეზი თვითონ არის. იგი შინაგანი წინააღმდეგობაა და თვითონ არის თვითმოძრაობის, განვითარებისა და თავისივე არსებობის მიზეზი. ამიტომ, უნდა დავუშვათ, რომ მცენარის სიცოცხლის საწყისი თესლისა და ღეროს ერთიანობაში მდგომარეობს.

რ. გოცირიძის შრომათა ციკლის ერთ-ერთი დადებითი მხარე ის არის, რომ მასში მოცემული საკითხები განხილულია ფილოსოფიურ ასპექტში. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პრაქტიკული ღირებულების ერთ-ერთ ძირითად გამოხატულებას მისი მეთოდოლოგიური ფუნქცია წარმოადგენს. ფილოსოფიის აქტიური და ქმედითი ხასიათი მჟღავნდება იმით, რომ ის დაკავშირებულია სპეციალურ მეცნიერებებთან, რომ იგი მათი კვლევა-ძიების ზოგად მეთოდოლოგიური საფუძველია. ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში გამოცემულია მრავალი ნაშრომი, სადაც დამუშავებულია ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკისა და სხვა მეცნიერებათა ფილოსოფიური პრობლემები. მეტყევეობის დარგში ფილოსოფიის კანონებისა და კატეგორიების გამოყენება პირველად რ. გოცირიძის მიერაა წამოწყებული და განხორციელებული.

შრომათა ციკლში მოცემული თითქმის ყველა საკითხი გაშუქებულია დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებისა და კატეგორიების გამოყენებით, რაც კიდევ უფრო მეტ სიღრმესა და შინაარსს აძლევს ავტორის მიერ ჩატარებულ კვლევას და მის შრომებს. ამით პრაქტიკულად არის განხორციელებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში მოცემული ის ძირითადი მოთხოვნა, რომ კერძო მეცნიერული კვლევა-ძიება სახელდობრ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი და მათი პრობლემების დამუშავება უნდა ემყარებოდეს დიალექტიკურ მატერიალიზმს, როგორც შემეცნების ერთადერთ მეცნიერულ მეთოდს.

**შ. აფციაური,**
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;

**არჩ. გონაშვილი,**
ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი.

# მეცნიერების დიდ ფერხულში

**ოცი** წლის წინათ დაიწყო თავისი მოღვაწეობა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში ახალგაზრდა სპეციალისტმა, ინჟინერ-მეტალურგმა სოზარ იაკობაშვილმა, იგი მეფოლადის დამხმარე იყო. ინჟინერი არ თაკილობდა შავ სამუშაოს. მან კარგად იცოდა, რომ მუშის სულიერი ცხოვრების გაგება დიდ ბიძგს მისცემდა მომავალი ცხოვრების ასპარეზზე.

ყოველივე ამან კარგი ნაყოფი გამოიღო, რიგითი მეფოლადიდან იგი ჯერ საამქროს ოსტატად, შემდეგ კი ცვლის ოსტატად დააწინაურეს. 4-5 წლის მანძილზე მან მეფოლადისა და მომავალი მეცნიერისათვის მეტად საინტერესო და საჭირო გზა განვლო.

შემდეგ მუდამ სიახლის მაძიებელი ახალგაზრდა სპეციალისტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის კოლექტივთან ერთად აქტიურად ებმება მეცნიერულ მუშაობაში.

მეცნიერს აღიარება მოუპოვა უნიკალურმა მონოგრაფიამ „შესადუღებელი ფლუსებისა და წიდების ზედაპირული თვისებები“, რომელიც ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით გამოიცა 1970 წელს კიევში.

უკვე გამოჩენილი მეცნიერი უშუალოდ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ბორის პატონისა და პროფესორ ხიდორე ფრუმინის მეცნიერული კონსულტაციით ს. იაკობაშვილი ე. ო. პატონის სახელობის ინსტიტუტში იცავს სადოქტორო დისერტაციის და უბრუნდება იმ კოლექტივს, სადაც მან სწავლა-განათლება მიიღო — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტს. ამ დღიდან, ს. იაკობაშვილი უკვე წლების მანძილზე მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად წარმატებით ეწევა მუშაობას ახალგაზრდა სპეციალისტთა აღსაზრდელად.

ამჟამად ქართველი მეცნიერის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის კალამს 70-ზე მეტი სამეცნიერო და მრავალი გამოგონება ეკუთვნის. იგი მონაწილეობს საერთაშორისო და საკავშირო სიმპოზიუმებსა და კონგრესებში. ქართველი მეცნიერი არჩეულია სსრ კავშირის შედუღების საკოორდინაციო საბჭოს წევრად და ამავე დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული შედუღების დარგში მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ.

ამას წინათ ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ ს. იაკობაშვილის მონოგრაფია **„შესადუღებელი ფლუსებისა და წიდების ზედაპირული თვისებები“** საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარადგინა.

წარდგენილი მონოგრაფია იმ შრომათა ციკლის განზოგადოებაა, რომელიც ეძღვნება შედუღების ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების პრობლემას.

ადრე სინთეტიკური წიდებისა და ფლუსების შემუშავება ხშირ შემთხვევაში სუფთა ემპირიული გზით მიმდინარეობდა, რაზედაც დიდი დრო და მასალა იხარჯებოდა. წიდებისა და ფლუსების თვისებების შესწავლისას ს. იაკობაშვილმა შეიმუშავა მრავალი ორიგინალური მეთოდი, რომლებმაც საერთო მოწონება დაიმსახურეს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. წარმოდგენილ მონოგრაფიაში მოცემულია არა მარტო კვლევის შედეგები, არამედ მათი ღრმა ანალიზი თხიერი წიდების შედგენილობის იონური თეორიის თვალსაზრისით. მას წარმატებით იყენებენ როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოიცა ფუნდამენტური ნაშრომი ელექტროწიდური პროცესების მეტალურგიაზე, რომელშიც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ავტორის კვლევის შედეგებს. ამ ნაშრომით დაინტერესდნენ იაპონიის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების მეცნიერები. მონოგრაფია პირველი ორიგინალური ნაშრომია მსოფლიო ლიტერატურაში თხიერი წიდებისა და ლითონების ფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესახებ.

უშუალოდ მისი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მრავალ საწარმოში დაინერგა ახალი საამბანო ღუმელი, რომელიც თხიერ წიდებზე მუშაობს. თერმული დამუშავების ამ ახალმა ტექნოლოგიურმა პროცესმა ლაიპციგის 1975 წლის ბაზრობაზე ოქროს დიდი მედალი მიიღო. ამ სიახლემ სახელმწიფოს მილიონობით მანეთი ეკონომია მისცა.

**ჯ. ლომსაძე,**
საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

# ჰელსინკის სულისკვეთებით

### ხელი მოაწერეს შეთანხმებას

□

**დორტმუნდი, (საკდესი).** აქ ხელი მოაწერეს „სსრ კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის“ საზოგადოების, „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — სსრ კავშირის“ საზოგადოებათა ფედერაციისა და რეგიონალური საზოგადოებების შეთანხმებას საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კულტურული და მეცნიერული გაცვლის გაფართოების შესახებ.

შეთანხმება ითვალისწინებს გამოფენების მოწყობას, შეიცავს მთელ რიგ კომპლექსურ ღონისძიებებს, რომლებიც სსრ კავშირის მიღწევებს უჩვენებენ. საბჭოთა სახელმწიფოს მე-60 წლისთავთან დაკავშირებით დასახულია მოეწყოს „საბჭოთა კავშირის დღეები“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთელ რიგ მხარეებში.

დადებული შეთანხმება ნიშნავს ჰელსინკის შეთანხმებაში ჩამოყალიბებული პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს „სსრ კავშირ-გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის“ საზოგადოების თავმჯდომარემ ლ. მ. ზამიატინმა და „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა — სსრ კავშირის“ საზოგადოებათა ფედერაციის პრეზიდენტმა ვ. ბერენდტმა და ფედერაციის პრეზიდიუმის წევრმა გ. კოხმა.

# ურთიერთგაგების გაუმჯობესებისათვის

**სან-ფრანცისკო. (საკდესი).** ამერიკის საქმიანი წრეები მოითხოვენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებას, რადგან იგი მიაჩნიათ ურთიერთგაგების გაუმჯობესებისა და დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განმტკიცების დიდმნიშვნელოვან ფაქტორად. ისინი აცხადებენ, რომ შეერთებული შტატების გარკვეული პოლიტიკური ძალების ცდები ჩაერიონ სსრ კავშირის საშინაო საქმეებში, ზიანს აყენებენ ამ პროცესს, რომლითაც მთელი მსოფლიოს ხალხები არიან დაინტერესებული.

ჩვენი ქვეყნების ვაჭრობის გაფართოება უწინარეს ყოვლისა ხელს შეუწყობდა ორმხრივი პოლიტიკური ურთიერთობის გაუმჯობესებას, განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ქალაქ სან-ხოსეს სავაჭრო პალატის ვიცე-პრეზიდენტმა ა. ვოზნიოვიჩმა. უნდა ვიაროთ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობის მოგვარების გზით და არ გავზარდოთ შეიარაღების ხარჯები. გამალებული შეიარაღების ტრაგედია ის არის, რომ ამაოდ იხარჯება უდიდესი სახსრები, რომელთა გამოყენება შეიძლება სოციალური პროგრამების განხორციელებისათვის.

### მოითხოვენ ამერიკა-სსრ კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაუმჯობესებას

□

როგორც სან-ფრანცისკოს სადგურის დირექტორთა საბჭოს წევრმა ჯ. მორისონმა განაცხადა, ვაჭრობა უნდა იყოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში მეგობრობის მტკიცე საძირკვლის ჩაყრის საფუძველი.

ძალიან ვნანობთ, განაცხადა ჯ. მორისონმა, რომ ახლა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობაში გამოყენებული არ არის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებსაც უზრუნველყოფს ორივე ქვეყნის მაღალი ინდუსტრიული პოტენციალი. ამის მიზეზია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ცნობილი აქციები, რომელმაც სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის პრობლემები დაუკავშირა სსრ კავშირის საშინაო პოლიტიკას. ამ საკითხებს, აღნიშნა მან, არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ერთმანეთთან.

# არადამაკმაყოფილებელი პასუხი

**ბერლინი. (საკდესი).** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კ. ნირმა აქ მიიღო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის ხელმძღვანელი გ. გაუსი, რომელმაც გადასცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის წერილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის 27 იანვრის სამახსოვრო ბარათის პასუხად. მასში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვდა, რომ დასავლეთ გერმანიას შეეწყვიტა ჩარევა მის საშინაო საქმეებში. კ. ნირმა თქვა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პასუხი მთლიანად არადამაკმაყოფილებელია. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, განაცხადა მან, მოელის, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობა განახორციელებს თავის საქმიანობას საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და მიღწეული შეთანხმებების შესაბამისად.

# ექსტრემისტთა გამოხდომები

**სტამბოლი. (საკდესი).** დღითიდღე ძლიერდება მოფაშისტე არამზადათა შეიარაღებული თავდასხმები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და მასწავლებლებზე. ნათქვამია თურქეთის უნივერსიტეტების, აკადემიებისა და უმაღლესი სკოლების ასისტენტთა კავშირის სტამბოლის განყოფილების განცხადებაში.

საქმე იქამდე მიდის, ხაზგასმულია დოკუმენტში, რომ ხალხს ლიბერალური გაზეთების წაკითხვისთვისაც კი სცემენ.

საერთაშორისო შენიშვნები




# პანამის არხი—პანამელებს

**სიტყვა** „პანამა“ აქაურ მკვიდრთა — ინდიელთა ენაზე თევზით მდიდარ ადგილს ნიშნავს. მაგრამ ამ სიტყვის ეს მნიშვნელობა დიდი ხანია, რაც წარსულს ჩაბარდა.

დღევანდელი პანამა თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, ქვეყნის მთავარი ეროვნული სიმდიდრის — ოკეანეთშორისი არხის სრული გამგებლობის უფლებისათვის ხალხის სამართლიანი ბრძოლის სინონიმია.

„პანამელი ხალხი არ დაუშვებს თავის მიწა-წყალზე ამერიკული კოლონიის არსებობას“, — განაცხადა ამას წინათ პანამის მთავრობის მეთაურმა ომარ ტორიხოსმა.

ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი — არხის ზონა 1903 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ პანამისათვის თავსმოხვეული ხელშეკრულებით ამერიკის შეერთებულ შტატებს უვადო სარგებლობისათვის გადაეცა. მოგვიანებით, 1939 წლის ხელშეკრულებით ამერიკის შეერთებულ შტატებს „საგანგებო ვითარებაში“ ქვეყნის სამხედრო ოკუპაციის უფლება მიეცა. მეორე მსოფლიო ომის დროიდან არხის ზონაში ამერიკის სამხედრო ბაზებია განლაგებული.

მრავალი წლის მანძილზე პანამელი ხალხი გადაჭრით იბრძვის არხის ზონის დასაბრუნებლად. ამ ბრძოლის შემადგენელი ნაწილია პანამა-ამერიკის მოლაპარაკება არხის მომავლის თაობაზე. ამერიკის შეერთებული შტატების მიზეზით იგი უკვე 12 წელიწადზე მეტი ხანია გრძელდება. უკანასკნელი რაუნდი გაიმართა შარშან ოქტომბერში. და იგი, როგორც ყველა წინანდელი მოლაპარაკება, უშედეგოდ დამთავრდა. მთავარი უთანხმოება გამოიწვია მომავალი ხელშეკრულების მოქმედების ვადამ. პანამა მოითხოვს მისთვის არხის კონტროლის უფლების ეტაპობრივი გადაცემის დამთავრებას და „არხის ზონაში“ თოთხმეტივე ამერიკული სამხედრო ბაზის მოსპობას 2000 წლისათვის. შეერთებული შტატები ცდილობს ეს ვადა კიდევ 25 წლით გააგრძელოს.

ცხადია, ამერიკის შეერთებული შტატების ასეთი პოზიცია პანამელი ხალხის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. მუშები და სტუდენტები, გლეხები და მებადურები მოითხოვენ მოლაპარაკების დაუყოვნებლივ განახლებას და მის წარმატებით დამთავრებას.

1977 წელი პანამამ განსაზღვრა როგორც არხის თაობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებთან ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ მოლაპარაკების საბოლოო ვადა. ეს წელიწადი მთავრობამ გამოაცხადა „ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მთელი ძალების კონსოლიდაციისა და გაერთიანების წლად“.

პანამელი პატრიოტები აღსავსენი არიან რწმენით, რომ მიაღწიონ თავისი ქვეყნის მთელი ტერიტორიის განუყოფელი გამგებლობის კანონიერ უფლებას. სულ უფრო ხმამაღლა გაისმის მათი მოთხოვნა, რომ ბოლო მოეღოს ამერიკის სამხედრო ყოფნას „არხის ზონაში“, ქვეყნის ტერიტორიიდან ალაგმონ ამერიკის ბაზები, სადაც პენტაგონისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ეგიდით მომზადებას გადიან რეინჯერები და ყველა ჯურის პინოჩეტები ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის.

პანამელთა სამართლიან აღშფოთებას იწვევს აგრეთვე არხის ექსპლოატაციით მიღებული შემოსავლების ყოვლად უსამართლო განაწილება. პანამის არხის კომპანია ყოველწლიურად სულ ცოტა ორ მილიარდ დოლარ მოგებას იღებს.

შეერთებული შტატების რეაქციული წრეები ცდილობენ ხანგრძლივი ვადით გააჭიანურონ პანამისათვის მისი ძირითადი ეროვნული სიმდიდრის გადაცემა. მათ ხმაც კი გაავრცელეს, თითქოს პანამელებს არ შეეძლოთ არხის დამოუკიდებელი მართვა. ამ ცილისწამებას საკადრისი პასუხი გასცა სახელმწიფოს მეთაურმა ომარ ტორიხოსმა: „ამერიკელთა მტკიცება, თითქოს პანამელები ვერ უზრუნველყოფდნენ არხის ნორმალურ მუშაობას, — განაცხადა მან, — მტკნარი სიცრუეა. იმ ადამიანთა სამი მეოთხედი ნაწილი, ვინც არხს ემსახურება, ხომ პანამელია“.

პანამელ ხალხთან საერთაშორისო სოლიდარობა დღითიდღე მტკიცდება. მის ბრძოლას მხარს უჭერს ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა. პანამის არხის მომავალი არ შეიძლება არ აღელვებდეს მათ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და სოციალური პროგრესი.

**ა. მოისეევი,**
ახალი ამბების სააგენტო.

* * *

**სურათზე:** მიტინგი პანამაში ო. ტორიხოსის მთავრობის მხარდასაჭერად.

საკდესის ფოტო.

საკდესი

## ეთერი პლანეტა

### რასისტთა სამხედრო მზადება

**ლუსაკა.** ინტენსიური სამხედრო მზადება გააჩაღეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულმა ხელისუფლებმა მეზობელი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სასაზღვრო რაიონებში.

კრიუგერის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, რომელიც მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის საზღვართან მდებარეობს, შენდება საველე აეროდრომები, მისასვლელი გზები, სამხედრო საწყობები. ანგოლის სახალხო რესპუბლიკასთან საზღვრის გაყოლებით თავმოუყარეს დიდძალ სამხედრო ნაწილებსა და ბევრ საომარ ტექნიკას.

### გადაწყვეტილება გააუქმეს

**ანკარა.** თურქეთის სახელმწიფო საბჭომ გააუქმა ანკარის გუბერნატორის გადაწყვეტილება ქვეყნის სამი პროგრესული ორგანიზაციის — მასწავლებელთა ერთიანობისა და სოლიდარობის საზოგადოების, მოსამსახურეთა საზოგადოებისა და ტექნიკურ სპეციალისტთა საზოგადოების აკრძალვის შესახებ. მარტო დედაქალაქში ისინი აერთიანებენ დაახლოებით ორას ათას კაცს.

ეს საზოგადოებები დაიხურა მას შემდეგ, რაც ანკარაში გაიმართა ქვეყნის ოცზე მეტი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა მიტინგები და დემონსტრაციები მშრომელთა დემოკრატიული უფლებების მხარდასაჭერად.

### გულისწყრომით გმობენ

**ლაგოსი.** აფრიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჩარევა გულისწყრომით დაგმო ნიგერიის გაზეთმა „უესტ აფრიკენ პაილოტმა“.

ამასწინანდელი მოვლენები ბენინის სახალხო რესპუბლიკაში, ეთიოპიასა და კონტინენტის სხვა ქვეყნებში, რასისტთა შეიარაღებული პროვოკაციები მოზამბიკისა და ბოტსვანის წინააღმდეგ — ყოველივე ეს მოწმობს, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო არ წყვეტს ძირგამომთხრელ საქმიანობას, წერს გაზეთი. „უესტ აფრიკენ პაილოტი“ აფრიკელ ხალხებს მოუწოდებს გამოიჩინონ მეტი სიფხიზლე იმპერიალისტური ხრიკების წინაშე.

### „ღვინის ომი“ მწვავდება

პარიზი, (საკდესი). რვა თვე გავიდა, რაც შედარებით მიყუჩდა ეგრეთ წოდებული „ღვინის ომი“ საფრანგეთსა და იტალიას შორის, მაგრამ ახლა მას კვლავ მწვავე ხასიათი ეძლევა. დაძაბულობა ქვეყანაში იტალიური ღვინის იმპორტის ზრდის პროპორციულად მატულობს, წერს გაზეთი „ფიგარო“.

მართლაც, საექსპორტო-საიმპორტო სტატისტიკა ყოველთვიურად ფრანგ მევენახეთა სულ უფრო დიდ შეშფოთებას იწვევს. თუ შარშან დეკემბერში ქვეყანაში შემოიტანეს 331 ათასი ჰექტოლიტრი იაფი იტალიური ღვინო, იანვარში ეს ციფრი პრაქტიკულად გაორკეცდა და 600 ათას ჰექტოლიტრს გადააჭარბა.

საფრანგეთის მონოპოლიები კრიზისულ მდგომარეობას უქმნიან ფრანგ მევენახეებს იმით, რომ დიდი მოგების მიღების წყურვილით შეპყრობილნი იტალიაში უფრო იაფფასიან ღვინოს ყიდულობენ, ვიდრე საფრანგეთში. „საერთო ბაზრის“ ფარგლებში განხორციელებული პოლიტიკის შედეგად უკანასკნელი წლების მანძილზე გაკოტრდა სამხრეთ საფრანგეთის ჰარის დეპარტამენტის 6.000 მევენახე, განაცხადა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პოლ ლორანმა.

ფრანგი მევენახეები უარს ამბობენ შეურიგდნენ იმ გარემოებას, რომ დასავლეთ ევროპის მრავალეროვნული მონოპოლიები უტევენ მათ უფლებებს. გლეხების საოჯახო მეურნეობათა ეროვნულმა კონფედერაციამ მოითხოვა, რომ ხელისუფლებმა უზრუნველყონ სტაბილური შესასყიდი ფასები და მევენახეთა შემოსავალი, შეამცირონ წარმოების ღირებულება, გადასახადები, შეზღუდონ ქვეყანაში უცხოური ღვინის იმპორტი.

## გლდანის ახალი ცხოვრება



დღითი-დღე იზრდება და ლამაზდება თბილისი. ამ ბოლო წლებში მრავალი საცხოვრებელი სახლი, სასპორტო, საყოფაცხოვრებო, კულტურული და სხვა სახის ნაგებობა შეემატა ჩვენს დედაქალაქს. შენდება ახალი საცხოვრებელი მასივები, კვარტალები, მაგისტრალები.

ამ სურათზე აღბეჭდილია თბილისის ახალი მიკრორაიონის — გლდანის მასივის ერთ-ერთი კვარტალი. ხუთიოდე წლის წინათ ჩვენი დედაქალაქის ეს უბანი ასეთი როდი იყო, ვერცერთ შენობას, ბაღს, სკვერს იქ ვერ ნახავდით. დღეისათვის კი გლდანის მასივში ბევრი მრავალსართულიანი სახლი და სხვა სახის ნაგებობა იტაცებს მნახველის თვალს.

მეათე ხუთწლედში კიდევ უფრო გაიზრდება გლდანის მასივი. აქ აშენდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების კეთილმოწყობილი ახალი შენობები და სხვა ნაგებობები.

ვლ. ბინზბურბის ფოტო.

ხუთწლედის მშენებლობაზე

# ახალი ხიდი მტკვარზე

### საიუბილეო წლის შესანიშნავი საჩუქარი

საქართველოს დედაქალაქში დამთავრდა ხიდის მშენებლობა, რომელიც დიდუბის სამრეწველო რაიონს საბურთალოს შეუერთებს. ხიდის სიგრძე 220 მეტრია, სავალი ნაწილის სიგანე — 21 მეტრი. იგი გათვალისწინებულია ავტომანქანების ექვსმწკრივად მოძრაობისათვის. ორივე მხარეს გასდევს ფართო ტროტუარი ქვეითად მოსიარულეთათვის. ხიდი სამმალიანია. შუალედური საყრდენები მოქანავეა. დიდუბის ახალი ხიდი დააპროექტეს კავკასიის „რკინიგზის ტრანსპორტის საპროექტო ინსტიტუტში (პროექტის ავტორები არიან გ. ბრეგაძე და ი. კოშაძე, არქიტექტორი — ნ. ლომიძე).

20 თებერვალს ხიდის სიმტკიცე გამოსცადეს. 120 ხუთტონიანმა ბალასტით დატვირთულმა თვითსაცლელებმა ხიდზე გაიარეს. გამოცდაში მონაწილეობდა № 1 ავტოსატრანსპორტო ტრესტის ექვსი საწარმოს 20 მანქანა, როგორც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხიდებისა და გვირაბების კათედრის გამგემ პროფესორმა გ. ქარცივაძემ თქვა, რომელიც გამოცდას მეთაურობდა, მან წარმატებით ჩაიარა, ცხადყო მშენებელთა მიერ შესრულებული სამუშაოების მაღალი ხარისხი.

— დიდუბის ხიდი უნიკალური ნაგებობაა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს კლასგარეშე და დიდი ხიდების მშენებლობის საკავშირო ლენინის ორდენოსანი ტრესტის № 39 ხიდის რაზმის უფროსმა ბ. ჰილვარიამ. — მისი მშენებლობის დროს გამოყენებულია ამ დარგის უახლესი სამამულო მიღწევები — იგი აშენდა ასაწყობი რკინაბეტონის კოლოფა ელემენტებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ეპოქსიდური წებოთია შეერთებული, რის მეოხებით მასში ვერ აღწევს ჰაერი და ტენი. სანაპირო საყრდენებზე დადგმულია 25-30 ტონიანი რკინაბეტონის ბლოკები, რომლებშიც გამვებულია მავთულის კონები.

ასაწყობი რკინაბეტონის ელემენტები დამზადებულია გორკის რკინაბეტონის ნაწარმის ქარხანაში „500“ მარკის ზემტკიცე ფოლადისაგან.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს „ინჟმშენის“ ტრესტის კოლექტივი ამთავრებს ხიდთან მისასვლელი გზების მშენებლობას. ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ხიდი საექსპლოატაციოდ გადაეცემა, რაც ბევრად განტვირთავს თბილისის მაგისტრალებს, კერძოდ გმირთა მოედანს, სადაც ახლა შეიმჩნევა მეტისმეტად ინტენსიური მოძრაობა.

ხიდის მშენებლობაში თავი გამოიჩინეს № 39 ხიდის რაზმის № 1 უბნის კოლექტივმა, რომელსაც თ. ცქიტიშვილი მეთაურობს. ამ კოლექტივმა ყველა ძირითადი სამუშაო შესრულა ვადაზე და მაღალხარისხოვნად. თავდადებული შრომის მაგალითები ცხადყვეს მემონტაჟეთა, მებეტონეთა, მეარმატურეთა, ხუროთა ბრიგადებმა, რომლებსაც მეთაურობენ ს. ჯიოევი, ვ. სამხარაძე, ო. ჭყოიძე, ვ. მჭედლიძე, შემდუღებელმა ე. აგაფონოვმა, ოსტატმა ი. კაპანაძემ, მეამწე ი. ბლაჟაევმა და სხვებმა.

თავიანთ შრომით საჩუქარს მშენებლები დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს უძღვნიან. (საქინფორმი).

• • •

სურათზე: საბურთალოს და დიდუბის სამრეწველო რაიონის დამაკავშირებელი ახალი ხიდი მტკვარზე.

ს. კილაძის ფოტო.



# ეცნობიან ინგლისურ წიგნს



გუშინ საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში გაიხსნა დიდი ბრიტანეთის საბავშვო წიგნის გამოფენა. იგი მოაწყეს ბრიტანეთის საბჭომ, სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის საელჩომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა.

გამოფენის ვრცელ დარბაზში, ლამაზად გაფორმებულ სტენდებზე ექსპონირებული ინგლისური საბავშვო ლიტერატურა ცალკეული თემატიკის მიხედვით არის განაწილებული. აქ ნახავთ ხალხურ ზღაპრებს, მოთხრობებს პატარებზე, ფანტასტიკას, მოთხრობებს ცხოველებზე, სათავგადასავლო ლიტერატურას, სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურას, მოთხრობებს ოჯახზე, ისტორიულ ლიტერატურას, პოეზიას, ენციკლოპედიას, ისტორიულ წიგნებს და სხვ. სულ გამოფენაზე 500-ზე მეტი წიგნია წარმოდგენილი.

დიდი ბრიტანეთის საბავშვო წიგნის გამოფენა, რომელიც პირველად ეწყობა ჩვენს დედაქალაქში მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. თავამაიშვილმა, სიტყვები წარმოთქვეს დიდი ბრიტანეთიდან მოწვეულმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის პედაგოგმა ენ ნევმა, პროფესორმა ნ. ყიასაშვილმა, გამომცემლობა „ნაკადულთან“ არსებული საბავშვო წიგნის სახლის დირექტორმა ჯ. ჰანტურაიამ, თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის აქტივისტმა მოსწავლე ი. ფრუიძემ.

გამოფენა 6 მარტამდე გაგრძელდება. („კომუნისტის“ კორ.).

## სპორტი

ჭადრაკი

### ევროპის პირველობაზე

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 13 აპრილიდან 23 აპრილამდე მოსკოვში ეწყობა ევროპის გუნდური პირველობის ფინალი ჭადრაკში. მასში მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისის, ბულგარეთისა და რუმინეთის ნაკრები გუნდები. თვითეულ კოლექტივში რვა ძირითადი და ორი სათადარიგო მოჭადრაკეა.

განსაკუთრებით საინტერესოა შეჯიბრება პირველ დაფაზე. აქ ერთმანეთს ხვდებიან მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი, დიდოსტატები გლიგორიჩი (იუგოსლავია), ჰორტი (ჩეხოსლოვაკია), პორტიში (უნგრეთი), ჰიუბნერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), მაილსი (ინგლისი), რადულოვი (ბულგარეთი) და გეორგიუ (რუმინეთი).

ევროპის გუნდური პირველობა 4 წელიწადში ერთხელ თამაშდება. 1973 წელს მაისში საბჭოთა მოჭადრაკეებმა გაიმარჯვეს.

ფეხბურთი

### დიდი ანგარიშით

ლესელიძე. („კომუნისტის“ საკ. კორ. ტელეფონით). კვირას ლესელიძეში პანსიონატ „სპორტის“ ბაზაზე თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა წინასასეზონო საგაზაფხულო ტურნირის მეორე თამაში გამართა. ამჯერად მისი მოწინააღმდეგე იყო ქუთაისის „ტორპედო“. გუნდების შემადგენლობა: „დინამო“ — გოგია, ხიზანიშვილი, ქორიძე, ჰილაია, კოსტავა, კოპალეიშვილი, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, ჩელებაძე, ყიფიანი, წერეთელი. „ტორპედო“: ი. კვერნაძე, სარიშვილი (გაბიჩვაძე), სულაქველიძე, მელიქია, ქვირია, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, შელია, ფესტვენიძე, ფარულავა, მ. კვერნაძე (ბურკაძე).

თამაში თბილისელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 4:0. ბურთები გაიტანეს ყიფიანმა (2), ჩელებაძემ და წერეთელმა.

თბილისის „დინამო“ 26 თებერვალს მესამე საკონტროლო მატჩს გამართავს კიევის „დინამოსთან“.

### უცხოეთის სტადიონებზე

ბოგოტა. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ბრაზილიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში შეხვდა კოლუმბიის ფეხბურთელებს, თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

ბონი. კიევის „დინამოს“ მომავალი მეტოქე ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მიუნხენის „ბავარია“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თასის გათამაშების მეოთხედფინალში შეხვდა კლუბ „ხერტას“ ფეხბურთელებს. დამატებით დროში ანგარიშით 4:2 გაიმარჯვა „ხერტას“ გუნდმა.

# ბაკურიანის თოვლიან ბილიკებზე

ღამით თოვლის საკმაოდ სქელი ზეწარი მოეფინა ბაკურიანის მიდამოებს, დილით კი მზის სხივებმა უზომოდ გაახარეს მოასპარეზენი, ჟურნალისტთა ფორუმის სტუმრები, გულშემატკივრები.

...კოხტაგორის ფერდობზე მოთავსებული გიგანტური სლალომის 900 მეტრიან ტრასაზე 34 კარი განალაგეს.

ტრასაზე სულ 38 ქალი გამოვიდა, რომელთაგან შეჯიბრება 29-მ დაამთავრა. სტარტზეა № 1 მონაწილე — შვეიცარიელი ჟურნალისტი ფრანსინ ბრუნშრიგი. მსაჯი-ინფორმატორი აცხადებს ასპარეზობის პირველ შედეგს — 1 წუთი 26,54 წამი. ეს დრო კარგახანს იყო საუკეთესო. ტრასაზეა პოლონელი იოლანტა ლოპუშინსკა. კარგი ტექნიკა, მძლავრი ფინიში, და წამზომები აღნუსხავენ თითქმის 3 წამზე უკეთეს დროს — 1.23,74. ყურადღების ცენტრშია № 15 მოთხილამურე. ეს არის ქალთა შორის მოასპარეზე ერთადერთი საბჭოთა სპორტსმენი — გამომცემლობა „ლენიზდატის“ თანამშრომელი ირინე ტურუნდაევსკაია. ი. ტურუნდაევსკაიამ ოსტატურად განვლო ყველა კარი და 1 წუთსა და 21,23 წამში დაამთავრა დისტანცია. შემდგომში ვერცერთმა მონაწილემ ვერ შეძლო ამ შედეგის გაუმჯობესება. ირინე ტურუნდაევსკაია ჟურნალისტთა ასპარეზობის პირველი ჩემპიონი გახდა. მეორე ადგილზეა იოლანტა ლოპუშინსკა (პოლონეთი), მესამეზე — ფრანსინ ბრუნშრიგი (შვეიცარია).

121 სლალომისტი ასპარეზობდა ვაჟთა შორის (შეჯიბრება 104 მონაწილემ დაამთავრა), რომელთაგან ყველაზე კარგად მომზადებულნი იტალიელი მოთხილამურე ჟურნალისტები იყვნენ. ჩემპიონობა სწორედ მათმა წარმომადგენელმა ჯორჯიო დესტეფანიმ მოიპოვა — 1 წუთი 12,16 წამი. მეორე ადგილზეა პოლონელი იანუშ ზილონატსკი (1.14,26), მესამეზე — იტალიელი პიეტრო მარანგონი (1.14.61).

საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო შედეგი ჰქონდა ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის“ თანამშრომელს ვლადიმერ პრეობრაჟენსკის — 1.22.03. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ნოდარ გურაბანიძემ კარგად აიღო სტარტი, მაგრამ დისტანციის მეორე ნახევარში, საუბედუროდ, ერთი კარი გამოტოვა და ბრძოლას გამოეთიშა.

საინტერესოა, რომ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ ჟურნალისტთა საერთაშორისო სათხილამურო კლუბის პრეზიდენტი 52 წლის რენე ლანჟელი და მისი მეუღლე კლოდა ლანჟელი. რენე ლანჟელის დროა 1.38,79, ხოლო მისი მეუღლისა — 2.15,73.

— ჟურნალისტთა ასპარეზობის ორგანიზაციით კმაყოფილი ვარ, ჩანს ბაკურიანზე ჩვენი არჩევანი ამაოდ არ შევაჩერეთ, — გვეუბნება რენე ლანჟელი — სლალომისტთა სტარტებს ბევრი სპორტის მოყვარული დაესწრო, დავრწმუნდით, რომ სათხილამურო სპორტი ძალიან უყვართ საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში. თქვენი ბაკურიანი მაგონებს ზამთრის ცნობილ კურორტს ბაირიშცელს (გფრ), სადაც უკვე ორჯერ გაიმართა ჟურნალისტთა საერთაშორისო შეჯიბრება. მე ლოზანის რადიოში ვმუშაობ მიმომხილველად, ხოლო ჩემი მეუღლე კლოდა გაზეთ „ტრიბიუნ დე ლოზანის“ რედაქტორია. პირადად ჩემი შედეგით კმაყოფილი ვარ, თუმცა სპეციალურ სლალომში საერთოდ უკეთ გამოვდივარ, რაც შეეხება კლოდას, იგი მხოლოდ მესამედ გამოდის ასეთ შეჯიბრებაში და ძალიან ღელავდა.

□

მოთხილამურე ჟურნალისტთა XXIII საერთაშორისო შეჯიბრება

□

ვინაიდან მოგვიანებით გამოირკვა, რომ ჯორჯო დესტეფანი ჟურნალისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ადრე უკვე ორჯერ ყოფილა გამარჯვებული, ჟურნალისტთა საერთაშორისო სათხილამურო კლუბის წესების თანახმად, მისი მონაწილეობა კონკურსგარეშე გამოცხადდა. ამრიგად, პირველობა მიეკუთვნა იანუშ ზილონატსკის, მეორე ადგილზეა პიეტრო მარანგონი, ხოლო მესამეზე — ანდრე მიუსელი (შვეიცარია) — 1.16,15.

გუშინ სპორტსმენი ჟურნალისტები ასპარეზობდნენ სპეციალურ სლალომში, რომლის დისტანციაზე 37 კარი იყო განლაგებული. მონაწილეებს ამჯერად ორ-ორი ცდა ეძლეოდათ. ქალთა შორის კვლავ ტოლი არ ჰყავდა საბჭოთა ჟურნალისტს სპორტის ოსტატს ირინე ტურუნდაევსკაიას, ორი ცდის ჯამში მისი დროა 1 წუთი და 10,97 წამი. ამ შედეგმა მას ჟურნალისტთა ასპარეზობაში მეორე გამარჯვება მოუტანა. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ პოლონელი იოლანტა ლოპუშინსკა — 1.14,09 და ნორვეგიელი ნინა გრამი — 1.15,02.

ვაჟთა შეჯიბრებასაც ორგზის გამარჯვებული ჰყავს — პოლონელმა იანუშ ზილონაცკიმ კვლავ მოიპოვა პირველობა. მისი დროა 1 წუთი და 04 წამი. მეორე ადგილზეა იუგოსლავი ხოსე კოგაჩნიკი — 1.06,08. მესამეზე — მისი თანამემამულე სილვო მატელიჩი — 1.06,81. კონკურსგარეშე მონაწილე იტალიელმა ჯორჯიო დესტეფანიმ 1 წუთსა და 04,20 წამში გაიარა ტრასა.

დღეს ბაკურიანის XXIII საერთაშორისო შეჯიბრების მონაწილეებს უკანასკნელი სტარტი აქვთ — რბოლა სამ კილომეტრზე.

ო. ნოზაძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
ტელეფონით, ბაკურიანი.



სურათზე: უკან დარჩა მომქანცველი ტრასა. ახლა ფეხებსა და თხილამურებს დასვენება უნდა.

ო. არობელიძის ფოტო.



დელტოპლანერისტი სტარტზე.

ა. პოტორაშვილის ფოტო.

## ორიოდე სიტყვით

კალათბურთი. გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. ვილნიუსში ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „სტროიტელი“ და ადგილობრივი „სტატიბა“. ანგარიშით 88:75 გაიმარჯვეს სტუმრებმა. ლენინგრადში „სპარტაკმა“ ანგარიშით 116:93 მოუგო კაუნასის „ჟალგირისს“. ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონმა და წლევანდელი გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა მოსკოვში არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდმა 100:85 მოუგო რიგელ არმიელებს.

მაგიდის ჩოგბურთი. ვოროშილოვგრადში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ქალთა შორის ოქროს მედალი მოიპოვა 16 წლის ბაქოელმა ვალენტინა პოპოვამ, ხოლო მამაკაცებში ლვოველმა ანატოლი სტროკატოვმა. ქალთა წყვილში პირველი ადგილი დაიკავეს სვერდლოვსკელმა ლიუდმილა ბაკშუტოვამ და ოდესელმა თამარ ჩიგვინცევამ. შერეულ წყვილში ოქროს მედლების მფლობელნი გახდნენ ერევნელი ელმინა ანტონიანი და ბათუმელი სარქის სარხოიანი. მამაკაცთა წყვილში ს. სარხოიანმა ერევნელ ბაგრატ ბარნაზიანთან ერთად გაიმარჯვა.

ჩოგბურთი. მოსკოვში გამართულ ზამთრის ტრადიციულ ტურნირში პირველ ადგილზე გამოვიდა ოლგა მოროზოვა. მამაკაცთა შორის გაიმარჯვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა ტომას ემრიხმა.

ჭადრაკის საღამო

### ა. კარპოვის 30 მეტოქე

ბაკურიანი ამ დღეებში მხოლოდ მოთხილამურეთა შეჯიბრების ასპარეზი როდია. კულტურულ პროგრამას, სხვადასხვა შეხვედრებს, დისკუსიებს მრგვალ მაგიდასთან და სხვ. დიდი ადგილი ეთმობა ჟურნალისტთა ამ ფორუმზე.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იყო ჭადრაკის საღამო. სასტუმრო „ბაკურიანის“ კლუბში ყველას უნდოდა ეხილა მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ანატოლი კარპოვი. მის გარდა ამ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტმა ქალთა შორის ნანა ალექსანდრიამ, დიდოსტატმა ედუარდ გუფელდმა, ოსტატებმა ნანა იოსელიანმა, ნინო გურიელმა, ცნობილმა საჭადრაკო ჟურნალისტმა ალექსანდრე როშალმა.

სტუმრებს გულთბილად მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე დ. პერტენავა. შემდეგ ე. გუფელდმა დამსწრეებს უამბო საქართველოს მოჭადრაკეების შესახებ. ა. კარპოვის შემოქმედებაზე ილაპარაკა ა. როშალმა.

ა. კარპოვმა უპასუხა ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს. შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონის მონაწილეობით გაიმართა ერთდროული თამაშის სეანსი. ცხადია, ყველას უნდოდა საჭადრაკო დაფასთან შეხვედროდა კარპოვს. ასეთი იღბლიანი 32 ჟურნალისტი აღმოჩნდა. ა. კარპოვმა მოიგო ოცდათორმეტივე პარტია და შეხვედრის მთავარი პრიზი — სვანური ქუდი მიიღო. ამ საღამოს ყველაზე ორიგინალური სვლა გააკეთა საჭადრაკო კომპოზიტორმა რევაზ თავარიანმა, რომელმაც სპეციალური ჯილდო გადასცა იტალიელ ჟურნალისტს... ა. კარპოვთან პირველი დამარცხებისათვის.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

# პირველად თბილისის კონსერვატორიაში

ამ დღეებში თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში მისი არსებობის მე-60 წლისთავზე პირველად მოხდა დისერტაციების დაცვა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

კონსერვატორიის სპეციალიზებულ სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც დამტკიცებულია სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით, შედის 11 სპეციალისტი, მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები. საბჭოს თავმჯდომარეა კონსერვატორიის რექტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი პროფესორი ს. ცინცაძე, სწავლული მდივანი — კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის კათედრის გამგე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი დოცენტი გ. ტორაძე.

დისერტაცია პირველმა დაიცვა თბილისის კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის აღზრდილმა (რესპუბლიკის სახალხო არტისტის ნ. ხარაძის კლასი) ივეტა გერსამიამ თემაზე: „ვოკალური შემსრულებლობის ზოგიერთი საკითხი აკად. დ. უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, პროფესორის მოვალეობის შემსრულებელი გ. გოგიჩაძე). ოპონენტებმა — ლენინგრადის კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის გამგემ ი. ბარსოვმა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ვ. ნორაკიძემ დიდი შეფასება მისცეს ი. გერსამიას შრომას. სამეცნიერო საბჭომ ერთხმად მიანიჭა მას ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

მეორე დისერტანტი იყო მოსკოვის გნესინების სახელობის მუსიკალურ-პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელი ანტონინა იაკოვლევა (თემა „მოსკოვის კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის მე-20 საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი პროფესორები“ სამეცნიერო ხელმძღვანელი — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ლ. დმიტრიევი).

თავისთავად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მოსკოველმა სპეციალისტმა გადაწყვიტა თავისი შრომის ატესტაცია თბილისის კონსერვატორიის სამეცნიერო საბჭოზე. საინტერესოა, რომ მისი ერთ-ერთი ოპონენტი თბილისის კონსერვატორიის სოლო-სიმღერის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ანდღულაძეა.

სამეცნიერო საბჭომ მეორე დისერტანტსაც ერთხმად მიანიჭა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის ხარისხი.

ოფიციალური ოპონენტების გარდა დისერტაციების გარშემო გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორებმა პროფესორებმა შ. ასლანიშვილმა, ლ. დმიტრიევმა (მოსკოვი), პროფესორის მოვალეობის შემსრულებელმა ი. ბარსოვმა (ლენინგრადი), ე. გოგიჩაძემ და ნ. ბახუტაშვილმა.

ლალი გოგბერაძე,
კონსერვატორიის მუსიკისმცოდნეობის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

## ტელევიზია

### 22 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსკოვის ერმოლოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „ხვალ, შვიდზე“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — დოკუმენტური ფილმი „ჯარისკაცის მკერდით“ (ქართულ ენაზე), 17.45 — კინონარკვევი „ვოლგოგრადი, გაზაფხული...“, 17.55 — ლიტერატურული გადაცემა უფროსკლასელთათვის — „იროდიონ ევდოშვილის შემოქმედება“, 18.30 — კინონარკვევი „საზღვაოსნო სკოლაში“, 18.40 — სპორტული მიმოხილვა, 19.05 — განცხადებები, 19.10 — „მომსახურების სფერო და საზოგადოება“, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ქართული მხატვრული ფილმი „წუთისოფელი“, 21.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — გიწვევთ საკონცერტო სტუდია ოსტანკინოში — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

17.35 — დოკუმენტური ფილმები „მზიური ტალანტი“, „მხატვრები და მაყურებლები“, 18.05 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 18.35 — კინონარკვევი „საყოფაცხოვრებო ქიმია და ჩვენ“, 18.55 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 19.40 — განცხადებები, 19.45 — დოკუმენტური ფილმი „ათი წლის შემდეგ ანუ მეათეკლასელთა იმედები და განცდები“, 20.30 — მხატვრული ფილმი „მონოლოგი“ — ფერადი გამოსახულებით.

## რადიო

### 23 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.35 — ქართული ხალხური მუსიკა, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — სიმღერები საბჭოთა არმიაზე, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა. 09.45 — ქართული კამერული მუსიკა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ვ. ოვჩინიკოვი. პირველი სიმფონია, 11.45 — „ოქტომბრის მონაპოვართა საიმედო გუშაგი“, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.40 — დ. თორაძე — ფრაგმენტები ბალეტიდან „ქედუხრელნი“, 14.00 „ლიტერატურული კითხვა. ო. იოსელიანი — „ვარსკვლავთცვენა“ (გაგრძელება), 14.20 — დ. შოსტაკოვიჩი — ორატორია „სიმღერა ტყეებზე“, 17.15 — რ. გლიერი — ნაწყვეტები ბალეტიდან „წითელი ყვავილი“, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის — ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — ა. მიქაბერიძისა და ბ. კრაველიშვილის კონცერტი, 18.45 — მღერის ვოკალური ანსამბლი „დრუჟბა“, 19.00 — გ. ტაბიძე — „სინათლის ყვავილი“ პოემა, 19.15 — ქართული ხალხური მუსიკა, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი“ თბილისიდან ამიერკავკასიის მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების რადიომსმენელთათვის, 21.00 — ძილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის. „ვემსახურები საბჭოთა კავშირს!“, 21.30 — საბჭოთა არმიის ა. ალექსანდროვის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ორგზის წითელდროშოვანი ანსამბლის კონცერტი, 22.05 — მუსიკალური ნოველა „შოპენის დაბრუნება“, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

## თეატრი

### 22 თებერვალი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — „კავკასიური ცარცის წრე“; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — რას იტყვის ხალხი; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ყარამანს ქალი მოჰყავს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-93-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02048 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.